140/1987/2
ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0182—5973



# პიონერი

6
1987

ЗНАК ПОЧЕТА

# პასუხისმგებლობა ქვეყნისათვის,

**დალი წულაძე,**
გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" რედაქტორი, საქ. ალკკ XX ყრილობის დელეგატი

ძვირფასო მეგობრებო, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, ყრილობათა სასახლეში ოთხ დღეს მუშაობდა ახალგაზრდობის საკავშირო ლენინური კომკავშირის XX ყრილობა, რომელმაც უპასუხა ქვეყნის კომკავშირელთათვის სადღეისოდ ყველაზე მნიშვნელოვან კითხვებს — როგორ ამრავლოს ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმა თავისი წვლილი ქვეყნის გარდაქმნაში, როგორ აიმაღლოს ავტორიტეტი თანატოლთა შორის, რა გზით გახადოს კომკავშირული მუშაობა ჭეშმარიტად შემოქმედებითი და როგორ დაუახლოოს იგი სისხლხორცეულად ახალგაზრდობის ინტერესებს.

XX ყრილობამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ლენინური კომკავშირის ცხოვრებაში, ვინაიდან ახლა ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საზოგადოების რევოლუციურ ცვლილებებს ახორციელებს. გარდაქმნის ბედი, სოციალისტური სამშობლოს მომავალი კი სწორედ ახალგაზრდობის ხელშია.

ისევე, როგორც ყოველთვის, ჩვენი ქვეყნის მთელი 70-წლიანი ისტორიის მანძილზე, ლენინური კომკავშირის წინაშე დგას ამოცანა, რევოლუციური იდეით აღანთოს მილიონობით ქალიშვილი და ჭაბუკი, გაიყოლიოს ისინი გარდაქმნისა და დაჩქარების ყველაზე ძნელ, ყველაზე საპასუხისმგებლო უბნებზე.

კომკავშირში, ისევე როგორც მთელ საზოგადოებაში, დადგა პრაქტიკული მოქმედების დრო. ამიტომ აუცილებელია სიმძიმის ცენტრის გადატანა თითოეული კომკავშირის კომიტეტის, თითოეული კომკავშირული ორგანიზაციის კონკრეტულ მუშაობაზე ახალგაზრდობის ფართო მასების ინიციატივასა და შემოქმედებაზე დაყრდნობით, ყველა კომკავშირელი აქტივისტის ძალთა თავმოყრით, ყოველივე საუკეთესოს განმტკიცებითა და განვითარებით, ფორმალიზმთან, ბიუროკრატიზმთან, მოძველებულ შეხედულებებთან, დამახინჯებულ ფორმებთან და მეთოდებთან გადამწყვეტი ბრძოლით.

80-იანი წლების ახალგაზრდობამ უნდა განაგრძოს და ამრავლოს უფროსი თაობის საქმეები და ტრადიციები. კომკავშირს პასუხისმგებლობა აკისრია სამშობლოს მომავალზეც, სწორედ ეს განაპირობებს იმ მუშაობის უდიდეს მნიშვნელობას, რომელსაც კომკავშირი მოზარდი თაობის, კომკავშირის ცვლის — პიონერების აღზრდაში ეწევა.

ყრილობაზე დიდი ადგილი დაეთმო მსჯელობას ნორჩ ლენინელთა შესახებ. პიონერებთან კომკავშირის მუშაობის საკითხებზე ცხარე კამათი მიმდინარეობდა სადისკუსიო ცენტრშიც — აქ განიხილებოდა პიონერული ორგანიზაციის ამოცანები, მისი როლი ქვეყნის ნორჩი მოქალაქის პიროვნებად ფორმირებაში. დელეგატები და ყრილობის სტუმრები, პიონერული და კომკავშირული მუშაკები, მეცნიერები, პედაგოგები, უფროსკლასელი კომკავშირელები ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ როგორია დღევანდელი პიონერი, როგორი უნდა იყოს იგი, რა პრობლემები და პერსპექტივები დგას ნორჩ ლენინელთა ორგანიზაციის წინაშე. თითქმის ყველა გამოსვლაში ისმებოდა კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ ხელმძღვანელობს პიონერულ ორგანიზაციას მისი წინამძღოლი — კომკავშირი.

ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერულ ორგანიზაციას, რომლის რიგებში 20 მილიონამდე ბავშვი და მოზარდია. იგი ზრდის პარტიის საქმისათვის ნორჩ მებრძოლებს, აბამს მათ კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკაში, ამზადებს კომკავშირის ღირსეულ შევსებას.

პარტიამ პიონერული ორგანიზაციის საქმიანობის ხელმძღვანელობა კომკავშირს დაავალა და ეს საბჭოთა საზოგადოებაში მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა, მაგრამ ყრილობაზე მთელი პრინციპულობით ითქვა, რომ პიონერული ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში კომკავშირი მრავალი წლის მანძილზე სჯერდებოდა მხოლოდ ზოგადი ამოცანების დაყენებას, ღრმად არ წვდებოდა პიონერული ცხოვრების პრობლემების არსს. ამიტომ ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა, გარდაიქმნას პიონერული ორგანიზაციების ცხოვრება დემოკრატიულ საწყისებზე, განვითარდეს თვითმოქმედება, დაუბრუნდეთ მოზარდებს თამაში, რომანტიკა, გამოგონება და ფანტაზია. პიონერებს თავისი ადგილი უნდა გამოეძებნოთ დიდსა თუ პატარა კომკავშირულ საქმეებში.

სულ მალე ჩატარდება IX სრულიად საკავშირო პიონერული შეკრება. განიხილავენ, როგორ უნდა შეასრულონ პიონერებმა მთავარი ამოცანა — ისწავლონ ბეჯითად, იყვნენ ღირსეული ნორჩი ლენინელე-

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი
**პიონერი**
გამოდის 1926 წლიდან
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა
6 ივნისი 1987

1987/2

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საკავშირო კომკავშირის XX ყრილობა

# სოციალიზმის ჭედისათვის

ბი, კომუნისტური პარტიის საქმისათვის მებრძოლები. კომკავშირის ვალი და მისი ღირსების საქმეა, დაეხმაროს მათ ამის მიღწევაში, არსებითად გააუმჯობესოს ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობა.

საკ. ალკკ XX ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამია:

ყრილობას მიაჩნია, რომ პიონერული ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში კომკავშირის მუშაობის გარდაქმნას საფუძვლად უდევს პიონერებთან და ოქტომბრელებთან კომკავშირის ყველა რაზმის, თითოეული კომკავშირელის მუშაობის ძირეული გარდაქმნა. კომკავშირის კომიტეტებმა რაზმეულების, ბავშვებისა და მოზარდების სხვადასხვა გაერთიანების მეთაურებად უნდა გაგზავნონ ისეთი კომკავშირელები, რომლებსაც ყველაზე უფრო შესწევთ ხელმძღვანელობის უნარი. სკოლის კომკავშირი პიონერული ორგანიზატორობის რეკომენდაციას უნდა აძლევდეს ყველაზე ავტორიტეტულ კომკავშირელებს, ქმნიდეს სხვადასხვა ასაკის კომკავშირულ-პიონერულ კოლექტივებს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეებისათვის.

კომკავშირის კომიტეტები პრაქტიკულად უნდა დაეხმარონ პიონერულ ორგანიზაციებს საქმიანობის ძირითადი მიმართულების არჩევაში, შეუქმნან პიონერებს თვითმოქმედებისა და ინიციატივის განვითარებისათვის საჭირო პირობები, დაეხმარონ უფრო მოქნილი სტრუქტურის შემუშავებაში, ოქტომბრელთა ჯგუფების, პიონერთა რაზმებისა და რაზმეულების მუშაობისადმი ახალი მიდგომის ძიებაში. მათ ღრმად უნდა შეისწავლონ და კეთილისმყოფელი გავლენა უნდა მოახდინონ ბავშვებსა და მოზარდებზე, უფრო ეფექტიანად გამოიყენონ პიონერული ცხოვრების ორგანიზაციისათვის სკოლისგარეშე და სხვა დაწესებულებები, არდადეგების დრო, უქმე დღეები, დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად შექმნან საზაფხულო ბანაკები სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და ბავშვთა სახლებისათვის.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ცენტრალურმა საბჭომ პიონერული ორგანიზაციის ხელმძღვანელობისას თანამიმდევრულად უნდა შეუხამონ ერთმანეთს ცენტრალიზებული საწყისი და პიონერთა თვითმოქმედების ფართო განვითარება. მიაღწიონ იმას, რომ მუშაობის მემკვიდრეობითობა, პიონერული ტრადიციების გამოყენება ორგანულად უკავშირდებოდეს პიონერული კოლექტივების საქმიანობის საკუთარი გამოცდილების შექმნას.

როდესაც ყრილობა თავის რეზოლუციაში ამ საკითხების წინ წამოწევას მოითხოვდა, ამით ხაზს უსვამდა იმას, რომ კომკავშირმა ნორჩ ლენინელთა ორგანიზაცია უნდა წარმართოს საბოლოო მიზნისაკენ— აღზარდოს პარტიის საქმისათვის ნორჩი მებრძოლი, ეს კი გულისხმობს მოზარდებში მეშჩანური შეხედულებების წინააღმდეგ ბრძოლას, ჩვენი ხალხის სულიერ ღირებულებათა, რევოლუციურ იდეალთა სიწმინდის დაცვას. ეს არის გარემოს მოვლა, ზრუნვა მშობლიური ქალაქებისა და სოფლების სილამაზისათვის, ზრუნვა წარსულის ძეგლებზე, მშობლიურ კულტურასა და ხელოვნებაზე. ეს არის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა, პლანეტის ბავშვთა ინტერნაციონალური ძმობა, და ბოლოს — თავიდათავი, ბავშვების მთავარი საქმე — ბეჯითი სწავლა და გარჯა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

როგორც ხედავთ, კომკავშირის XX ყრილობამ ყველას დიდი ამოცანები დაგვისახა. ამ ამოცანების გადაჭრის ერთადერთი საიმედო გარანტია კი ის იქნება, რომ თითოეულმა ჩვენგანმა ნიჭი და უნარი არ დაზოგოს ყრილობის გადაწყვეტილებათა ყოველი სტრიქონის კონკრეტულ პრაქტიკულ საქმედ გადაქცევისათვის.

დასასრულ, მინდა ჩემი საუბარი დავასრულო ყრილობაზე ამხ. მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლიდან ერთი ადგილის მოყვანით, რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ყრილობის ყველა დელეგატზე: „...პატრიოტი ის კი არ არის, ვინც ლამაზი სიტყვებით ლაპარაკობს სამშობლოს სიყვარულზე, არამედ ის, ვინც ხედავს რა სიძნელეებს, გადასაჭრელ პრობლემებს, არ წუწუნებს, არ ტეხს პანიკას, არ არის გადაყოლილი თავის ეგოისტურ პრეტენზიებს, არამედ მკლავდაკაპიწებული ძლევს დაბრკოლებებს. აი, სწორედ ეს არის პატრიოტი".

ასეთ პატრიოტობას გისურვებთ თქვენს პიონერულ საქმიანობასა და ცხოვრებაში თქვენც, ჩემო ძვირფასო უმცროსო მეგობრებო!



პატარებიც წააშველებენ ხელს უფროსებს აღდგენით სამუშაოებში

ვლადიმერ ასლამაზიშვილი
ფოტო
დ. იაკოგაშვილის

# ჭალადიდის გაზაფხული

საავადმყოფოს პალატის კარი ექთანმა ფრთხილად შეაღო.

— ამხანაგო კოვალიოვ, თქვენთან სტუმრები არიან.

ლეიტენანტ დიმიტრი კოვალიოვს მოტეხილი ფეხი თაბაშირში მაგრად ჰქონდა გაკრული და წამოდგომა უჭირდა, ამიტომ პალატაში შემოსულ ყმაწვილებს — ხობის პიონერთა სახლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის წევრებს მოუბოდიშა.

მარინე ქაქუთიამ დიმიტრი კოვალიოვს წითელი მიხაკები მიართვა, დათო პაჭკორიამ ფანჯრის რაფაზე ოლიმპიური დათუნია დააბრძანა, კახაბერ ბენიძემ და სხვებმა მაგიდა ხატვისა და ხელმარჯვეთა წრის წევრების ნახატებითა და ნაქარგებით გაავსეს.

— გმადლობთ, გმადლობთ, ჩემო პატარა მეგობრებო, — ამბობდა ყმაწვილების სტუმრობით ნასიამოვნები კოვალიოვი და კეთილად იღიმებოდა.

ბავშვებმა მოიკითხეს ლეიტენანტი. რომ გაიგეს, რამდენიმე დღეში თაბაშირს შემოხსნიდნენ და საავადმყოფოდან გაეწერებოდა, გაუხარდათ, დაპირდნენ, კიდევ გინახულებთო, და გამოემშვიდობნენ.

ვინ არის ლეიტენანტი დიმიტრი კოვალიოვი?

ცხოვრობს ფოთში და მსახურობს ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში. როცა დასავლეთ საქართველოს რაიონებს სტიქიამ შემოუტია და ხობის რაიონის სოფლები წყალმა დატბორა, მისი მეთაურობით ჯარისკაცების ერთი ჯგუფი გაეშურა გაჭირვებაში მყოფ ჭალადიდელთა გადასარჩენად. ბევრმა მებრძოლმა ჩაიგდო განსაცდელში თავი, ოღონდ სტიქიისათვის უმწეო ბავშვები, ქალები და მოხუცები გამოეტაცა.

უმსხვერპლოდ არ დამთავრებულა სტიქიასთან ჭიდილი. თავისი ყველგანმავლით 28 ჭალადიდელი გამოსტაცა რიონიდან მოვარდნილ ღვარცოფს რიგითმა ჯარისკაცმა რაჰიპ მამედოვმა, თვითონ კი დაიღუპა. იმ ორომტრიალში ფეხი მოიტეხა დიმიტრი კოვალიოვმაც.

— ყოჩაღი, მამაცი ჯარისკაცი იყო რაჰიპი, მას არასოდეს დაივიწყებენ იმ სამხედრო ნაწილის მებრძოლები, სადაც მსახურობდა, — ამბობს მეთაური.

## რაჰიპის სახელობისა

წყალდიდობიდან ერთი კვირის შემდეგ გადარჩენილ სახლებს კვლავ დაუბრუნდნენ ჭალადიდელები. ტალახისა და ქვა-ღორღისაგან გაწმინდეს ეზოები, აღადგინეს დანგრეული ღობეები; სწავლა განახლდა. სტიქიამ სკოლასაც დიდი ზიანი მიაყენა, მაგრამ დახმარების ხელი ვინლა არ გამოუწოდა. დამტვრეულ-დაზიანებული ინვენტარის ნაცვლად საკლასო კაბინეტები ახალი მერხებით, მაგიდებით, თვალსაჩინოებით შეივსო. მეზობელი რაიონების სკოლებმა ჭალადიდელებს 600-მდე სხვადასხვა დასახელების სახელმძღვანელო გამოუგზავნეს.

საბრძოლო დიდების მუზეუმში, რომელიც სკოლის მეორე სართულზეა და წყალდიდობას გადაურჩა, იმ ადგილას, სადაც მარადიული ცეცხლი გიზგიზებს, მამაცი ჯარისკაცის რაჰიპ მამედოვის კუთხე გაჩნდა. იგი ჭალადიდელმა პიონერებმა მოაწყვეს. კედელზე რაჰიპის სურათია გამოკრული. ყმაწვილები დიდი ინტერესით ეცნობიან მის ბიოგრაფიას, იქვეა ალბომი „აზერბაიჯანის სსრ", ჟურნალები და გაზეთები. რაჰიპისადმი მიძღვნილი ცალკე კუთხე მოუწყვიათ მე-7 რაზმელ პიონერებს; ეს რაზმი, რომელშიც მესამეკლასელები არიან გაერთიანებულნი, წყალდიდობის შემდეგ დაიბადა. მას რაჰიპ მამედოვის სახელი მიენიჭა. ხოლო სოფლის ცენტრში, შინმოუსვლელთა მემორიალის ახლოს, მადლიერმა ჭალადიდელებმა თავიანთი გადამრჩენელის, უშიშარი მეომრის სახელის უკვდავსაყოფად სკვერი გააშენეს და წყაროს წყალი გამოიყვანეს, აქ მაღალ კვარცხლბეკზე რაჰიპის ბრინჯაოს ქანდაკება დგას.

ჭალადიდის სკოლის პიონერებს ეწვია აზერბაიჯანელი მწერალი აიდინ სელიმ-ზადე. თურმე რაჰიპის შესახებ წიგნი უნდა დაწეროს.

## წერილები, წერილები...

ეს რამდენი მეგობარი გვყოლიაო, იოცებენ ჭალადიდელი პიონერები, როცა ფოსტალიონი ჩანთიდან მათ სახელზე გამოგზავნილ წერილებს ამოიღებს და ჩამოურიგებს.

პიონერთა ოთახში ორი სავსე საქაღალდე უდევთ. შიგ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან გამოგზავნილი ბარათებია, უმეტესობა საქართველოს რაიონებიდანაა.

ჭალადიდელი ნანა ლემანია მე-7 კლასში სწავლობს. შარშან არტეკში ისვენებდა. იქ ლანჩხუთელი პიონერი ლადო გვარჯალაძე გაიცნო. ერთად მონაწილეობდნენ სპორტულ შეჯიბრებაში, სიმღერების კონკურსში. ნანამ ჯერ წერილი მიიღო ლადოსგან — ლანჩხუთში ეპატიჟებოდა, მერე, ლანჩხუთის პირველი სკოლის პიონერები ჭალადიდის სკოლას დასახმარებლად რომ ეწვივნენ, ლადოც



პიონერები ხშირად იკრიბებიან რაჰიპ მამედოვის მემორიალთან



თამარ გუკია ერთი იმათგანია, ვინც რაჰიპმა გადაარჩინა.

მოვიდა, თან საჩუქარიც — წიგნები და რვეულები ჩამოიტანა.

გამამხნევებელ, მეგობრულ წერილებს სწერენ ჭალადიდელებს და ზაფხულში, არდადეგებზე თავისთან ეპატიჟებიან მცხეთის რაიონის ქანდის საშუალო სკოლის მესამეკლასელები, ხაშურის რაიონის ქვიშხეთის საშუალო სკოლის პიონერები, მაიაკოვსკის რაიონის სოფელ წითელი ხევის პიონერები, ლაგოდეხის რაიონის აფენის სკოლის მოსწავლეები და სხვ.

არც ჭალადიდელი ყმაწვილები რჩებიან ვალში. სწერენ პასუხებს, მადლობის ბარათებს, უსრულებენ თხოვნას და უგზავნიან ფოტოსურათებს... ისეთ ამბებს სწერენ, ისინი გაზეთებში რომ ვერ ამოიკითხავენ. რამდენიმეს თქვენც გიამბობთ:

იმ საღამოს, წყალდიდობა რომ დაიწყო, ჭალადიდის საშუალო სკოლის მე-10 კლასელმა გოდერძი გალდავამ მოვარდნილ ღვარცოფს გამოსტაცა შინ მარტოდ დარჩენილი ორი მცირეწლოვანი მეზობელი — დები თამრიკო და ქრისტინე, ატირებული ბავშვები დაამშვიდა, უშიშარ ადგილას გაიყვანა და მშობლებს ჩააბარა. სკოლიდან იმ დროს ფეხიც არ მოუც-



რეზო და კოგა თითქმის მორჩნენ ბაღის გადაბარვას

ვლიათ სკოლის დირექტორ სულიკო დარჯანიასა და მასწავლებლებს — შოთა უფლისაშვილს, იროდი კვირტიასა და თამაზ ფაღავას. მათ ახლომახლო ბინებიდან ოცდახუთამდე მოხუცი გამოიყვანეს და სკოლის მეორე სართულზე საიმედოდ დააბინავეს. მთელ ღამეს იქ ჰყავდათ. დილით კი ისინი ჯარისკაცებმა ყველგანმავლით სამშვიდობოს გაიყვანეს.

ყმაწვილებს ემაყებათ, რომ ასეთი კარგი და კეთილი პედაგოგები ჰყავთ. მაგალითად, ავიღოთ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ომარ ჩაჩავა და ფიზიკის მასწავლებელი გერმანე შურღაია. ერთი სამტრედიაში ცხოვრობს, მეორე — ფოთში. შაბათს, წყალდიდობა რომ დაიწყო, ისინი შინ ყოფილან წასულნი. თურმე, როგორც კი გაიგეს, სტიქიამ ჭალადიდს შემოუტიაო, მაშინვე გახიზნული ბავშვებისკენ გაეშურნენ და მათთან დარჩნენ, ეფერებოდნენ, ამხნევებდნენ...

## ვისია კვიცი?

გაზაფხულის მზე დანათის ჭალადიდს. სკოლის სპორტულ მოედანზე, ახლა წყალდიდობის კვალიც რომ არ ატყვია, მეოთხე და მეხუთეკლასელებს გელა კირთაძეს, პაატა ხვიჩიას, თემურ გვაძაბიასა და სხვებს ფეხბურთში შეჯიბრება გაუმართავთ. სპორტული მოედნის იქით, მწვანიანზე ბალახობს წაბლისფერი კვიცი, არავინ იცის, ვისია, საიდან მოაგდო სკოლის ეზოში ღვარცოფმა.

— ის-ის იყო, მოხუცები სკოლის მეორე სართულზე დავაბინავეთ, რომ დაბლიდან ცხენის ხვიხვინი გავიგონეთ. გადავიხედეთ, საღამოა, წვიმს, თანაც ქარია. წყალი პირველი სართულის ფანჯრებამდეა მოსული, ხელმარჯვნივ, კუთხეში კი ცხენია, მარტო თავი და ზურგი მოუჩანდა წყალში. მაშინვე დაბლა ჩავიდნენ მასწავლებლები შოთა, იროდი და თამაზი. წყალში გატოპეს და ცხენი შიგნით შემოიყვანეს. მას შემდეგაც ჩვენთან არის. ბავშვები უვლიან — ყურადღებას არ აკლებენ. ისიც ისე მოგვეჩვია, არსადაც არ უნდა წასვლა, გვეყოლება, სანამ პატრონი გამოუჩნდება, — ამბობს სკოლის დირექტორი სულიკო დარჯანია.

ჭალადიდის საშუალო სკოლაში 350-მდე მოსწავლეა. წყალდიდობის დროს ყველა გახიზნეს. როცა წყალმა უკან დაიხია, ყმაწვილები მშობლიურ სკოლას დაუბრუნდნენ. ზოგიერთმა, ვისაც წყალდიდობამ ბინები დაუნგრია, ჯერჯერობით ვერ შესძლო სკოლაში მოსვლა, ისინი ხობის რაიონის სხვადასხვა სკოლებში აგრძელებენ მეცადინეობას. მალე აღდგება მათი საცხოვრებელი სახლებიც და მშობლებთან ერთად ისინიც საკუთარ კერას დაუბრუნდებიან. მანამდე კი მშენებლები თავს არ იზოგავენ, ყველაფერს აკეთებენ, რომ ცხოვრება კვლავ კალაპოტში ჩადგეს, რომ მშვიდი გაზაფხული და მომავალი ჰქონდეთ ჭალადიდელებს — დიდებსა და პატარებს.

რაჭიპ მამედოვის სახელობის მუზეუმი ანდამატივით იზიდავს ნორჩ დამთვალიერებლებს



# შავი ჯომარდი

ელგუჯა მერაბიშვილი

მხატვარი კარლო ფაჩულია

მოთხრობა

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ „დანაშაულებრივ ქმედებაში“ მონაწილე მოსწავლის საქციელი... ტრისტან დვალმა, ვინც მანქანა დააგორა, მერე კიდეც აღიარა ეს. მისი მოქმედება ზოგმა ასე ახსნა: შეშურდა ირაკლი გერმესაშვილისა, რომ ასეთი მდიდარი ნათესავები აღმოაჩნდნენ და იმიტომ გააკეთაო. ზოგი იმასაც ვარაუდობდა, ტიტყო ამას ბადრი კალმახელიძის ჩაგონებით ჩაიდენდა, რადგან წინა დღეებში ბიჭები წაკინკლავდნენ, ბადრი და მისი მეგობრები ამტყუნებდნენ ირაკლის — ამირან მასწავლებელს არ უნდა გადასდგომოდი, რვაას მეტრზე რბენის შედეგების გადასინჯვა არ უნდა მოგეთხოვაო. ირაკლი თავისაზე იდგა. მე სიყალბეს ვებრძვი და არა ამირან მასწავლებელსო, ბადრი კალმახელიძეს ხელს არ შევუშლი, საპატიო სიგელი კი არა, თუ უნდა, რვა კლასის დამთავრების განსხვავებულ ატესტატს რომ მიიღებს, ისიც სხვას დაუთმოსო.

ცისიამ მაშინაც გერმესაშვილის მხარე დაიჭირა. მნიშვნელობა არა აქვს წამის მეათედზეა ლაპარაკი, თუ საუკუნის მეათედზე, სიყალბე სიყალბეაო.

წამით სძლია სისუსტემ ცისია მასწავლებელს, შურისგებაზე ხომ არ გადავიდნენ ერთმანეთთან მოქიშპე ბიჭებიო, მაგრამ იქვე არ დაიჯერა. თვითონ მას გამოელაპარაკა — ტრისტან დვალს.

ჩაცმულობაზევე შევატყე, რო კაი ხალხი არ იყო; მერე იმ კაცის ლაპარაკი ამომივიდა ყელში, ისე იტყლარჭებოდა და მაღლიდან გვიბღვეროდა, თითქოს ვინმე ბატონი ყოფილიყო. ეგ კიდევ არაფერი. იმათი მანქანა რომ ვნახე ზიზილ-პიპილებით შემკული, მაშინ გადავირიე ჭკუაზეო, ამოღერღა როგორც იქნა.

ყველაზე მეტად ეს ვერსია მიიჩნია სარწმუნოდ ცისია მუხრანელმა იმ მოტივის დადგენისას, რამაც „დანაშაულებრივი ქმედება“ ჩაადენინა ბიჭს, როგორც უბნის რწმუნებულის აქტში იყო ჩაწერილი.

ყოველივე აქედან გამომდინარე ვასკვნი, — წერდა ცისია მუხრანელი, — რომ ჩემი სადამრიგებლო კლასი დაზღვეულია ზნეობრივად მდაბალი საქციელის ჩადენისაგან, ხოლო ირაკლი გერმესაშვილი, ისევე როგორც ტრისტან დვალი, მიმაჩნია ჩვენი საზოგადოების ღირსეულ ცვლად. ბავშვები ვერ ჰგუობენ თავის გვერდით ცხოვრების მახინჯ მოვლენებს, ზოგჯერ ისე მტკივნეულად ეხება ეს მათ პირად ცხოვრებას, ისე აღელვებს, რომ წონასწორობას ჰკარგავენ და ბრძოლის არასწორ ხერხებს მიმართავენო.

სწავლების მეთოდიკაში არსად წერია, რომ მასწავლებელმა ბავშვს ხელმეორედ დააწერინოს საკონტროლო სამუშაო, თუნდაც იგი სემესტრის ბოლო სამუშაო იყოს და სულიერად შეშფოთებული, ხელსისხლიანი ბავშვისაგან იყოს შესრულებული და სისხლით დალაქავებული, ამისათვის მთელი ჩემი მდგომარეობით ვაგებ პასუხს, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში თავს არ გავიმტყუნებ, — კვლავაც რომ მომეცეს მსგავსი შემთხვევა, ისევ ასე მოვიქცევიო.

ასე თავაუღებლად წერდა ცისია მუხრანელი, რომ ანაზდად მოესმა:

— ტელეფონთან გთხოვენ. — ქართულის მასწავლებელი, მისი კბილა ქალიშვილი წამოსდგომოდა თავს.

— იასე იქნება, არ ვიცი? — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ცისიამ, არ ესიამოვნა, რომ საქმეს მოსწყვიტეს, — იშოვა საქმე და ახლა რაღა მოასვენებს!

— არა, ბავშვის ხმაა, — წყნარად უთხრა ქართულის მასწავლებელმა.

ცისია მაშინვე წამოხტა და აჩქარებული ნაბიჯით მივიდა ტელეფონთან.

— ცისია მასწავლებელო, ახლავე, ამ წუთას უნდა მოხვიდეთ საბილიარდესთან, — მოესმა ყურმილიდან.

ირაკლის ხმა იცნო და გული შეუქანდა.

— მოხდა რამე? — ჰკითხა.

— თუ ახლავე არ წამოხვალთ, მერე გვიან იქნება, — ბიჭი აღელვებული ჩანდა.

— ახლავე მოვრბივარ! — ყურმილი დადო და სამასწავლებლოდან გავარდა.

●

გერმესაშვილი თავჩაღუნული მიდიოდა და ყურადღებას არ აქცევდა, თუ რა ხდებოდა ირგვლივ, მწარე ფიქრს იყო შეჭიდებული.

„რა მოხდა მერე, წავალ აქედანაც... აქ ოთხი სკოლაა, რომელიმეში გადავალ. ლენინის ორდენოსან მიხა ამილახვარს დიდ პატივს სცემენ ქალაქში, უარს ვინეტყვის... ან სულაც საღამოს სკოლაში ვისწავლი, დღე კი ქარხანაში ვიმუშავებ, მთელი ჩვენი უბანი — წითელი გორა, სულ ქარხნის მუშებითაა დასახლებული. ვინმე გამომიჩენს შესაფერის სამუშაოს. ან სულაც რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ბიუროში მივალ... ნორჩ ტექნიკოსთა წრეში ყველას მოსწონს ჩემი ნამუშევრები, განსაკუთრებით მტკერდამჭერის მოდელი...“

მანქანის სიგნალმა გამოიყვანა ფიქრებიდან, ქუჩის გადასასვლელთან იდგა. უნივერმაღის მისადგომებთან ბლომად ხალხი ირეოდა, ავტომობილების უწყვეტი ნაკადი მიედინებოდა ორივე მხარეს. ძლივს მოახერხა მეორე მხარეს გადასვლა.

ფოტოვიტრინასთან შეჩერდა, გაახსენდა, კლასის ხელმძღვანელისაგან დავალებული რომ ჰქონდა, სასწრა-

დასასრული. იხ. „პიონერი“ № 4, 5.



ფოდ გადაელო სურათი და სკოლაში მიეტანა საპატიო დაფაზე გამოსაკიდად.

„დღეის შემდეგ აღარ დამჭირდება... როგორ მაინტერესებს, ვინ არის უსახელო წერილის ავტორი... ჩემს გამო რამდენი უსიამოვნება შეხვდა ცისია მასწავლებელს. რომ შემხვდეს, შემრცხვება, თვალს ვერ გავუსწორებ", — გაიფიქრა.

ცოტაც რომ გაიარა, ქალთა საპარიკმახეროს მოჭრიალე კარმა მიიქცია მისი ყურადღება — ქალი გამოვიდა კოსმეტიკის სალონიდან და ზანტი ნაბიჯით ჩამოიარა კიბე.

ირაკლიმ იცნო ქერათმიანი ქალბატონი და ძალიან გაუკვირდა მისი აქ ყოფნა. საქმე ის კი არ იყო, რომ ასეთი დაწესებულებისათვის უცხო კლიენტად მიიჩნია, არა, საერთოდ ქალაქში არ ეგულებოდა იგი.

„ეს ხომ ბენოს დედაა, ქალბატონი კლარა... ის ხომ პირველსაათიანს უნდა ჩამოჰყვეს და სადგურზე უნდა დახვდეს ბენო... ხომ არაფერი მეშლება?" — გაიფიქრა და უფრო ახლოს მივიდა.

ნამდვილად ის იყო.

მაშ რატომ თქვა ბენომ, დედას სადგურზე უნდა დავხვდეო, რისთვის იცრუა, რა მიზნით?.. ან საბილიარდესკენ რად ეპატიჟებოდა?.. ალბათ თავისი მოკლე ჭკუით განსაზღვრა, რომ, რაკი გერმესაშვილს სკოლიდან ზარგი აუკრეს, ჩემი ამხანაგი გახდებაო, კასეტის ფასად უნდოდა ახალი მეგობრის შეძენა.

იქნებ სჯობდა, წაჰყოლოდა და რაღაცით შეევსო ეს დღე? გულს გადააყოლებდა ციცო იასამანოვას სკოლიდან მოსვლამდე, მერე კი მისგან შეიტყობდა, რა მოხდა კლასში მისი წამოსვლის შემდეგ.

„მაინც რა ვერ აიტანეს ჩემი, კარგი სწავლა თუ სპარტაკიადის ჩემპიონობა? იქნებ ის, რომ ამირან ნონიკაშვილს ვარაუდი გავუწბილე — არ დავთანხმდი, ერთი საპატიო სიგელი მაინც ზაზა ბოჭორაძისთვის დამეთმო... ზაზა კი ბადრი კალმახელიძის დეიდაშვილი ყოფილა... ბათოს ნოინებმა ხომ არ დამიტრიალეს ამბავი... თუმცა არა, მათგან ვაჟკაცური მუშტი-კრივი უფრო მოსალოდნელია... ვერც ციცო იასამანოვასგან დავიჯერებ ასეთ რამეს... მაშ რამ მოაფიქრა ბენოს, ციცოზე გადაეკრა სიტყვა?... იქნებ წავსულიყავი საბილიარდესკენ?

ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე მდებარე კულტურის სასახლე სამთამადნო ქარხანას ეკუთვნოდა, მისი კინო და სპორტული დარბაზები საღამოს საათებში მუშაობდა.

ბენო კენჭაძეს, ეტყობოდა, კულტურის სასახლისაკენ არც გაუხედავს, დაგმანულ კიოსკთან იდგა და გასაყიდად გამოფენილი ჟურნალების ყდებზე ნახატებს ათვალიერებდა.

ირაკლი მიხვდა, რომ ნახატების თვალიერებით ბენო დროს კლავდა, ცალი თვალი ტროტუარისკენ ეჭირა — ვიღაცას ელოდა. მაგრამ ვის?

ასე გაგრძელდა კარგა ხანს. ფოსტის შენობის განიერი ფანჯრიდან მოთვალთვალე ირაკლის მოთმინება დაელია, თან ეუხერხულებოდა კიდეც, ვინმემ არ შემამჩნიოს, რომ თანაკლასელს ვუთვალთვალებ და ცუდი რამე არ იფიქროსო. შინ წასვლა დააპირა, რომ სწორედ ამ დროს ბენოს მოუსვენრობა დაეტყო, ხელები წარამარა ჩანთისკენ გაურბოდა, შეშინებული კურდღელივით დაცეცებული თვალებით ქუჩის გასწვრივ იხედებოდა.

ირაკლიმაც იქით გაიხედა, მაგრამ საყურადღებო ვერაფერი შენიშნა. სულ ახლოს ბერიკაცი მოაბიჯებდა ტროტუარზე და პურით ამოტენილ საბაზრო ჩანთას მოათრევდა, მის უკან მუსიკალური სკოლის მოსწავლე გოგონები მოხტოდნენ, ერთმანეთს შესცინოდნენ, ხან ჩერდებოდნენ და რაღაცაზე კამათობდნენ. კიოსკს რომ მიუახლოვდნენ, კამათი შეწყვიტეს და სამივემ კენჭაძეს მიაშურა, რომელიც ამ დროს ჩანთაში იქექებოდა, მერე სავსე მუჭი გულთან მიიტანა, ჩანთა კიოსკის რაფაზე ჩამოდო და გამოთავისუფლებული ხელი გოგონებს გაუწოდა.

— აბა, მაჩვენეთ, რა წამოიღეთ!

გოგონებმა კასეტები გაუწოდეს.

— სულ ახლებია, თანაც სტერეო, — უთხრა ერთმა.

— ჩემი საქონელიც „ფირმენია", — მიუგო ბენომ,—ნახეთ, რა აწერია! „ტალკუჩკაზეა" ნაყიდი, — თითო ცალი ჩამოურიგა გოგონებს.

„საღეჭ რეზინს ყიდის, კასეტებზე ცვლის... წმინდა წყლის სპეკულაციაა, ერთი კევი ოთხი მანეთი და ოთხმოცდაათი კაპიკი უჯდებათ ბავშვებს", — გაიფიქრა ირაკლიმ.

ამასობაში ბენომ მუშტრები გაისტუმრა და კვლავ ნა-

სატებს დაუწყო თვალიერება. იოლი მისახვედრი იყო, რომ ისევ კლიენტებს ელოდა.

„უყურე ერთი, რას სჩადის ეს არამზადა, რამდენჯერ გავაფრთხილეთ და კიდევ არ იშლის... ვინმემ რომ გაიგოს, რას იტყვიან... მთელ კლასს სირცხვილით თავი მოგვეჭრება... მართალია, მე აღარ დავბრუნდები, მაგრამ მაინც... ცისია მასწავლებლის სახელს ამ წუპაკმა როგორ უნდა მოაცხოს ლაქა?"

კიოსკს ახლა ბიჭები მოუახლოვდნენ, ისინიც მუსიკალური სკოლის მოსწავლეები იყვნენ. ირაკლისაც შენიშნული ჰყავდა, ერთი ჯგუფი ამ დროს დადიოდა სოლფეჯიოში სავარჯიშოდ, უფრო სწორად, კორპუსიდან კორპუსში გადადიოდა. ბენოსაც ზუსტად შეერჩია დრო მათთან შესახვედრად.

ამჯერად კენჭაძე ფულზე სთავაზობდა ბიჭებს მანქანის მინებზე მისაწებებელ სურათებს.

„ახლავე გავალ, ვეცემი და დავაკავებ, მაგრამ უხმაუროდ არ დამნებდება, ყვირილს მორთავს, მერე წადი და მილიციაში ამტკიცე, ვინ მართალია და ვინ მტყუანი... ჩემი ბრალდებაც ვერ ამიცილებია, — ფიქრობდა შეშფოთებული და თან თვალს არ აშორებდა თანაკლასელს. — სხვა გზა არ არის, ცისია მასწავლებელს უნდა დავურეკო".

ფოსტის გამგის კარღია კაბინეტში კაციშვილი არ ჩანდა, ტელეფონთან მიირბინა, ყურმილი აიღო და ნომერი აკრიფა, მაშინვე უპასუხეს.

ღელავდა, ენა ებმებოდა, აღარ იცოდა, როგორ მოეყარა თავი სათქმელისათვის. მასწავლებელი იოლად მიუხვდა, ახლავე მანდ გავჩნდებიო, — უპასუხა.

წამის დაკარგვაც არ შეიძლებოდა, ირაკლი გარეთ გამოვარდა და შუა გზაზე შეეგება სკოლიდან წამოსულ მასწავლებელს, თან უყვებოდა, რაც ნახა და თან წინ მიუძღოდა სწრაფი ნაბიჯით.

ცისიას გულში უხაროდა მისი დანახვა, მაგრამ არ ამჩნევინებდა.

— მე წინ წავალ, მასწავლებელო, თუ არ გაგიგონათ და გაქცევა დააპირა, უკან გავარდება კიოსკსა და მაღაზიის შენობის შუა, ვიწრო გასასვლელში, იქ ჩავუსაფრდები, — უთხრა ბიჭმა და წინ გაიქცა.

ცისია მუხრანელი იმ დროს მიუახლოვდა კიოსკს, როცა მისი აღსაზრდელი მორიგ მუშტრებს ევაჭრებოდა და სალეჭ რეზინებს აწონებდა.

— ბენო, მოდი ჩემთან! — წყნარად გასძახა.

ბიჭი შეკრთა, მაგრამ არ მოუხედავს, რეზინები უბეში ჩაიყარა და ვითომც აქ არაფერიო, მიბრუნდა და ნელი ნაბიჯით წავიდა მისკენ.

— ჩანთაც წამოიღე! — შეახსენა მასწავლებელმა.

ბენომ უკან მიიხედა და ხაფანგში დაჭერილი თავგივით აწრიალდა — ჩანთაზე მაგნიტოფონის კასეტები ეწყო, იქვე კი ორი „ნაკლეიკა" კიდევ იდო.

ჩანთასთან მიირბინა, ყველაფერი შიგ ჩაყარა და, იმის მაგიერ, რომ მასწავლებლისაკენ წამოსულიყო, ვიწრო გასასვლელში სდურთა თავი და ირაკლის ჩაუვარდა გაშლილ მკლავებში.



მერე მასწავლებლის წინ იდგა დარცხვენილი და თავის აწევას ველარ ბედავდა.

— წამოდით, საწრეო ოთახში შევიდეთ, აქ უხერხულია დგომა, — თქვა მასწავლებელმა და კულტურის სასახლისაკენ წაუძღვა ბიჭებს.

ქარხნის კულტურის სასახლეში უცხო ენების შემსწავლელ წრეს ხელმძღვანელობდა ცისია მუხრანელი, ამიტომ არავისი შეწუხება არ დასჭირვებია, ხელჩანთაში გასაღები მოჩხრიკა და დერეფნის ბოლოში მეორე სართულზე ერთი პატარა ოთახის კარი გააღო.

— აბა, დააწყე მაგიდაზე ჯერ ის, რაც უბეში გაქვს, მერე კი შენივე ხელით ამოალაგე ჩანთიდან დანარჩენი. არც კი გრცხვენია. სწავლას მოუმატა-მეთქი, მიხაროდა, მეგონა, ეს არის და გამოსწორდა-მეთქი, — ცისია მასწავლებელი ლამის ტიროდა. — რად მიღალატე, ბიჭო? — ნიკაპზე მოკიდა ხელი, თავი მაღლა ააწევინა.

— მე რა ვქნა, მასწ, დედა მავალებს, — ბენომ ძლივს ამოღერღა და საცოდავად ატირდა.

სანამ კენჭაძე უბიდან სათითაოდ იღებდა სალეჭ რეზინებს, ირაკლის გულმა ველარ მოუთმინა, ბენოს ჩანთა, რომელიც აქამდე მას ეჭირა ხელში, გახსნა და მაგიდაზე წამოაპირქვავა — რაღა არ წამოცვივდა იქიდან. სხვა წვრილმანთან ერთად მაგიდაზე წიგნები და რვეულებიც დაცვივდა, რუსული ლიტერატურის წიგნიდან კი სანახევროდ იყო გამოწეული საგულდაგულოდ დაწებებული კონვერტი ლამაზი ხელით დაწერილი მისამართით: „თბილისი, მთავრობის სახლი, განათლების სამინისტრო“.

„ეს ხომ ზუსტად ის ხელწერაა, იასე ჩინჩალაძესთან რომ ვნახე, იმ საჩივრის და ამ წერილის დამწერი ერთი და იგივე პიროვნებაა“, — გაიფიქრა ცისიამ და სულ გადაავიწყდა, აქ რისთვის იყო მოსული.

— ბენიამინ, მითხარი, გენაცვალე, ეს რაღა კონვერტია? — ჰკითხა ათრთოლებული ხმით და არ ეგონა, თუ გული არ წაუვიდოდა პასუხის მოლოდინში.

ბიჭი სრუტუნებდა, ცრემლებს იწმენდდა და ფეთებაამტყდარი აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს.

— დამშვიდდი და მითხარი, შენ ხომ კარგი ბიჭი ხარ... — ეჩურჩულებოდა მასწავლებელი.

ბენომ როდის-როდის გაბედა:

— დედამ გამომატანა. როდემდის უნდა ვიყოთ ამ ვიწრო ბინაში, სამინისტროში ამის თაობაზე მინდა საჩივარი გავაგზავნოო...

— ჩანთით რატომ დაგაქვს, სად უნდა მიგეტანა? — ცისიამ წყალი მოსვა.

— სადგურზე უნდა გამეტანა და პირველსაათიანი მატარებლის ფოსტის ყუთში ჩამეგდო. დედამ თქვა, ადგილობრივ ფოსტაში ჩაგდებული საჩივრები იკარგებაო...

„აი თურმე რისთვის უნდა გასულიყო სადგურზე, მე მომატყუა, დედას უნდა დავხვდეო“, — გაიფიქრა ირაკლიმ.

— მე რაღაზე მომატყუე, დედას უნდა დავხვდეო, მეუბნებოდი, დედაშენი კი წელან ქალთა საპარიკმახეროდან გამოვიდა.

— დედამ მითხრა, არავის აჩვენოო... — უფრო ჩაღუნა თავი ბენომ.

ცისია მუხრანელი გულმოწყალედ შესცქეროდა ბიჭს და უკვე თანდათან მშვიდდებოდა. ძალიან მადლიერი იყო ამ შემთხვევისა, დალუპვას გადარჩენილივით გრძნობდა თავს. ისე იყო გაოგნებული, მორწმუნე რომ ყოფილიყო, უთუოდ პირჯვარს გადაიწერდა.

— ახლა გაიქეცი, მატარებელმა არ გაგასწროს, ჩააგდე ეგ წერილი და უკანვე მოდი, კოლექტიურ სვლას ვაწყობთ კინოფილმზე დასასწრებად, — უთხრა ბენოს.

ბიჭი ადგილიდან არ დაძრულა. აქსუტუნდა და აქეთ-იქით გაიხედა.

— მე დღეს მივხვდი, რომ თქვენზე განათლებაში გაგზავნილი საჩივარი დედას დაწერილია, — თქვა გაუბედავად, — მაგრამ ყველაფერი ჩემი ბრალია... საკონტროლოში „ორიანი“ რომ დამიწერეთ, იმან ჩამადენინა.

— ქალდე თარხნიშვილისგან სიტყვასიტყვით რომ გადაიწერე, იმიტომ დაგიწერე.

— ვიცი, დედამ კი მაგრად მცემა. თავი რომ მემართლებინა, ვუთხარი, მასწავლებელი გადამემტერა, ჩემზე უარეს ნაწერში სხვებს ხუთიანებს უწერს-მეთქი. შეცდომების გასწორების დროს გერმესაშვილის ორივე რვეული მოვიპარე და შინ წავიღე. დედასთვის უნდა მეჩვენებინა და უკანვე დამებრუნებინა, მაგრამ აღარ დამანება, მაგას ვაჩვენებ, როგორ უნდა ბავშვის დაჩაგვრაო... შემეშინდა და გამოვუტყდი, გადაწერაში დამიწერა ცუდი ნიშანი, ჩემზე გადამტერებული სულაც არ არის-მეთქი, მაგრამ აღარ მომისმინა... ამ წერილს კი, თქვენც რომ არ გენახათ, არ ჩავაგდებდი... რაღაცით ვხვდები, რომ ესეც თქვენზე იქნება... დავხევ და გადავყრი, — ბენომ ამაყად ასწია თავი.

მასწავლებელმა თავი გადააქნია უარის ნიშნად.



ავთანდილ ბერბენიძე

## მოდის, ზაფხული მოდის!

მოდის ზაფხული წიგნის —
ფასკუნჯისა და დევის...
ოცნებისა და ფიქრის
და ღამეების თევის;
ზურგჩანთისა და კარვის;
კალათისა და გოდრის,
ფუნჯის, საჭრეთლის, კალმის —
მოდის,
ზაფხული მოდის!
 ბიჭი ხარ, თუკი მეტყვი,
 რა გზას გაჰყვები ხვალ, —
 შენ რომელ ზაფხულს ეტრფი,
 შენ რომლისაკენ ხარ?
მოდის ზაფხული ნატვრის,
გამკაჟებელი კუნთის,
კოჭებმცხუნვარე ლახტის
და, რა თქმა უნდა, ბურთის;
ზურგზე მოდებულ ტომრის,
ფქვილით ავსებულ კოდის,
მასპინძლისა და სტუმრის —
მოდის, ზაფხული მოდის!
 გოგო ხარ, თუკი მეტყვი,
 რა გზას გაჰყვები ხვალ, —
 შენ რომელ ზაფხულს ეტრფი,
 შენ რომლისაკენ ხარ?
მოდის ზაფხული შრომის,
მოდის ზაფხული გარჯის,
მხარში და გვერდში დგომის —
თივის, სილოსის, ნამჯის;
კისერმოტეხილ ჩქერის,
ხავსმოდებული ლოდის,
ცაში ღრუბლების ცქერის —
მოდის, ზაფხული მოდის!
 ბიჭი ხარ, თუკი მეტყვი,
 რა გზას გაჰყვები ხვალ, —
 შენ რომელ ზაფხულს ეტრფი,
 შენ რომლისაკენ ხარ?
მოდის ზაფხული სოფლის,
ბებიისა და პაპის,
ტყეში თუ ღრეში ყოფნის,
ლეგენდისა თუ ზღაპრის;
ზღვის სიმღერების, ტალღის
უსაყვარლესი ნოტის,
მზეზე ლამაზად დაღლის —
მოდის,
ზაფხული მოდის!
 გოგო ხარ, თუკი მეტყვი,
 რა გზას გაჰყვები ხვალ, —
 შენ რომელ ზაფხულს ეტრფი,
 შენ რომლისაკენ ხარ?
მოდის ზაფხული ჩრდილის
და ჭილოფების ფენის,
მამლისყელიან დილის,
ცისარტყელების ფერის;
ცრემლის, ხავსიან კედლებს
უხსოვარიდან რომ სდის,
მკერდით მოარღვევს ედემს —
მოდის, ზაფხული მოდის!
 ბიჭი ხარ, თუკი მეტყვი,
 რა გზას გაჰყვები ხვალ, —
 შენ რომელ ზაფხულს ეტრფი,
 შენ რომლისაკენ ხარ?

— სიმართლის თქმა, თანაც მაშინ, როცა მართალი არა ხარ, დიდზე დიდი ვაჟკაცობაა. შენ გქონია ეს ვაჟკაცობა, ამიტომ მჯერა, იმასაც შეძლებ, რომ დედას უკან მიუტანო წერილი და პირდაპირ უთხრა, თუ რის გამო გადაიფიქრე მისი გაგზავნა. თანაც ისე დაარწმუნო შენს სიმართლეში, რომ შეურაცხყოფა ვერ გაგიბედოს...

— ეს ძნელია...

— ძნელია, მაგრამ შეუძლებელი სულაც არ არის, მეგობრები დაგეხმარებიან, აი თუნდაც ირაკლი, მას სხვებიც ამოუდგებიან მხარში. რას იტყვი, შეძლებ?

ბენომ მძიმედ დააქნია თავი.

●

გოლა კლდის კაპანზე გადმოდგა, ჩომბახის ბოლოზე ხელისგულები დააწყო, ზედ თეთრწვერა ნიკაპი ჩამოდო და გაიყურსა.

— ერთი ნასწავლი კაცი გვირევია გვარში, — თქვა ბოლოს, — ის იტყვის ხოლმე, გერმესაშვილები, იგივე ჰერმესაშვილები, ღმერთის ჩამომავლები ვართო, ჰერმესი წინათი ჯოგებისა და საძოვრების ღმერთი იყოო. ჰოდა, რაკი ხელობაც ეგა მაქ და ჯოგ-საძოვრების ღმერთის ჩამამავალიცა ვყოფილვარ, მითქვია და მიბრძანებია, გამაიყვათ წითელი და შავი ერკემალი, სანამ არ გაიტეხინებენ, ერთმანეთს ტვინიც რომ შეასხან, მაგათი გამშველებელი არა ვარ.

ბატკნების ფარა უკვე საბოლოოდ იყო გამორჩეული დედაცხვრებისაგან, მას დამოუკიდებლად უნდა გადაევლო საძოვრები და ზამთრის სადგომებამდე ჩაეღწია. ფარა ორად გაიყო, ერკემლებმა ანთებული თვალებით მოზომეს ერთმანეთშუა დარჩენილი მანძილი და ადგილს მოსწყდნენ...

გაისმა მძლავრი ჯახანი, წითელმა ტალმა და შავმა კვესმა ცეცხლი გამოჰკვესეს.

რეტდასხმული ყოჩები ძლივს განერიდნენ და კვლავ შეეხალნენ ერთურთს — ჯახანმა ექოდ გადაუარა მთებს, ძირს დაყარა ბრუდასხმული მეტოქეები.

— რას იზამ, ცხოვრება ბრძოლაა! — ბრძანა ჯოგ-საძოვრების ღმერთად შესახელებულმა გოლამ.

მესამედ შეჯახებული შმაგი ერკემლები ერთმანეთზე ტვინშესხმულებივით უძრავად ეყარნენ მოლზე.

— წყალი დაასხით! — ბრძანა გოლამ.

მწყემსებმა ქოჩრები დაუსველეს მხოლოდ.

ერკემლები შეინძრნენ და მაშინვე სარქენად წამოსწიეს თავები.

დადგა გადამწყვეტი წუთი.

„ღმერთს“ მისი დადგომა არ გამოჰპარვია.

— აუფრიალეთ ნაბადი! — ბრძანა.

მწყემსმა ბუჩქებიდან წამოუარა და ნაბადი შემოაფრიალა ბრძოლის ასპარეზზე.

ერკემლებმა ერთმანეთის მტრობა წამიერად დაივიწყეს და რქებშემართულები შეევებნენ ახალწარმოჩენილ საფრთხეს.

— ორივენი კაი ბიჭები არიან, გააშველეთ! — ბრძანა გოლამ.

ერკემლები არც აპირებდნენ ბრძოლის განგრძობას, მხარიმხარ იდგნენ.

# ილია ჭავჭავაძე, როგორც მეგობარი

ილია ჭავჭავაძე დიდბუნებოვანი პიროვნება იყო როგორც მწერლობაში, ისე კერძო ცხოვრებაში. მას ბევრი გულითადი მეგობარი ჰყავდა, და სიცოცხლის ბოლომდე შეუბღალავად ინახავდა მათდამი სიყვარულს.

ამაღელვებელი, სანიმუშო მეგობრობა აკავშირებდა დიდ მწერალს პეტრე ნაკაშიძესთან, რომელსაც უძღვნა თავისი ორი შესანიშნავი ნაწარმოები — „ქართვლის დედა“ და „მეფე დიმიტრი თავდადებული“.

პეტრე გურიაში დაიბადა. 1855 წელს ის გადმოიყვანეს თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში, აქ დაუახლოვდა ილიას და, ამ დღიდან მოყოლებული, აღარც დასცილებია. მათი უჩრდილო და უღრუბლო ურთიერთობა არ შემღვრეულა რაიმე წვრილმანი მიზეზებით, არ გაციებულა დროისა და მანძილის გამო.

1857 წელს ისინი ერთად გაემგზავრნენ პეტერბურგში და, მართალია, სხვადასხვა ფაკულტეტზე შევიდნენ, მაგრამ სულ ერთად იყვნენ. გონებაგახსნილი და ფართო ერუდიციის პეტრე ილიას შემოქმედების პირველი პირუთვნელი შემფასებელი იყო. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ 1860 წელს პავლოვსკში დაწერილი პოემა „ქართვლის დედა“ ილიამ პეტრეს მიუძღვნა. ამ მიძღვნის პირველი ვარიანტი ასეთია:

„აი, იმ დღიდან ერთი სცენა
ამოღებული,
სადაც გონება ჩვენი ხშირი
ერთადა ჰფრენდა,
სადაც ჭაბუკი ფანტაზია
გალაღებული
უკეთესთ ყვავილთ ქართვლის
გულში ლხენითა ჰკრეფდა,
მყობადს ავხადე ერთი კუთხე
დიდი ფარდისა
და ეს ვიხილე: მომიტევე მე
სითამამე,
ეს არს ნაყოფი აწმყოსაგან
შობილ დარდისა,
ამით მიმართლე, მიიღე და ნუ
გამკიცხავ მე“.

70-იან წლებში, უკვე საქართველოში, ილიამ პოემის პირველი სტროფი ცოტა შეცვალა, დასაბეჭდად გაამზადა და დუშეთიდან პეტრეს გაუგზავნა თბილისში.

ახალ ვარიანტში სტროფმა ასეთი სახე მიიღო:

„აჰა, იმ დროდგან ერთი სახე
ამოღებული,
რომელიც ერთად გვინატრია
უცხოეთში ჩვენ,
რომელთ იმედი, ღვთიურ სხივით
გაბრწყინებული,
დღესაც გულში გვაქვს მტკიცე
რწმენად, ძმაო, მე და შენ“.

„ქართვლის დედის“ მიძღვნაში პოეტი თავის განუყრელ მეგობარს ახსენებდა პეტერბურგში გატარებულ დროს, როდესაც ისინი ერთად ოცნებობდნენ სათაყვანებელი სამშობლოს აწმყოსა და მომავალზე. ლექსში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სიტყვები: „მომიტევე მე სითამამე“. უკვე აღიარებული დიდი ილია ერთგვარი მოკრძალებითაც კი მიმართავს სიყრმის მეგობარს. დრამატულ პოემასთან ერთად ილიამ 1871 წლის 19 მარტს პეტრეს შემდეგი წერილიც გაუგზავნა: „პეტრე, გიგზავნი ხელახლად გადაკეთებულს შენდამი ნაძღვნევს ჩემს „ქართვლის დედას“. თუ მოგეწონოს, მიეცი ნიკოლაძეს დასაბეჭდათ. გთხოვ, შენი პირმოურიდებელი აზრი მაცნობო ამ პატარა თხზულებაზედა. კარგად კი წაიკითხე. ყველაზე უფრო ჯარის სიმღერა მომწონს, გლეხურ კილოზე მოწყობილია. თუ მოგეწონოს დასაბეჭდათ, შენთან მოწერილი ძღვნობის ლექსიც დააბეჭდინე ამასთან ერთად. კორექტურა შენთვის მომინდვია. შენი ი. ჭავჭავაძე“.

ამ მრავალმხრივ საყურადღებო წერილში ნათლად ისახება დიდი ილიას პორტრეტი, ჩანს, რომ ეს აღიარებული მწერალი იმდენად უწევდა ანგარიშს პეტრე ნაკაშიძეს, მის „პირმოურიდებელ აზრს“, რომ პოემის დაბეჭდვის უფლებასაც მას ანდობდა.

მათი ურთიერთობიდან განსაკუთრებით საინტერესოა 1863 წელი, როცა ილიამ ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ გამოსცა. გ. წერეთელი, ჩამოთვლის რა ი. ჭავჭავაძის იმდროინდელ თანამებრძოლებს, პირველ რიგში პეტრე ნაკაშიძეს ასახელებს: „1861 წლიდან, როდესაც ი. ჭავჭავაძემ ახალი ლიტერატურული მოძრაობა ატეხა ჯერ კიდევ „ცისკარში“ და გარს შემოიკრიბა თავისი საკუთარი წრე, ამ წრეში მოქმედ პირებად იყვნენ ი. ჭავჭავაძე, როგორც მეთაური და ჰუმანიტარული დროშის ამფრიალებელი, პეტრე ნაკაშიძე და სხვები“.

ამავე წელს პოლონეთში პატრიოტების აჯანყებამ იფეთქა. ეროვნული თავისუფლებით შთაგონებული ილიასათვის მეტად მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, ცნობები მიეწოდებინა თავისი ჟურნალის მკითხველებისათვის ამ აჯანყების მიმდინარეობის შესახებ. ეს მისია პეტრე ნაკაშიძემ იკისრა. იგი პოლონეთში გაემგზავრა და „საქართველოს მოამბის“ 1863 წლის მე-7 ნომრისთვის უკვე გამოგზავნა ნარკვევი „სამგზავრო წიგნები“, რომლის ადრესატი იყო ილია ჭავჭავაძე. ნარკვევის ავტორი პოლონეთიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწერდა ჟურნალის რედაქტორს: „მინდა ჩემი მიმომგზავრობა შენს „მოამბეს" ვუამბო, თუ კი მის მოსასმენად ექნება მას დრო და ადგილიო".

ნარკვევში ნაკაშიძე გვიამბობს, როგორ იმგზავრა პეტერბურგიდან ვარშავამდე; ეყრდნობა ფაქტობრივ მასალას, შემოჰყავს რეალურად არსებული პირები, ამჟღავნებს პროტესტს არსებული წყობილების მიმართ. წერილი გაჟღენთილია ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით. ილიამ, რა თქმა უნდა, სიამოვნებით დაბეჭდა იგი და უფრო მოგვიანებით მაღალი შეფასებაც მისცა პრესაში: „ლიტერატურაში პ. ნაკაშიძემ პირველად მიიღო მონაწილეობა ჟურნალში „საქართველოს მოამბე". ის ვარშავიდან გზავნიდა ცოცხალს, კარგის ენით დაწერილ წერილებს, რომელსაც არათუ მაშინ, ახლაც კი დიდის სიამოვნებით წაიკითხავთ".

სადაც უნდა ყოფილიყო ილია ჭავჭავაძე, პეტრესთან მეგობრობას არ წყვეტდა. 1864 წელს პეტრე ნაკაშიძე დაინიშნა ქუთაისში ჯერ მომრიგებელ შუამავლად, შემდეგ მაზრის უფროსად, ბოლოს კი — გუბერნიის თავადაზნაურობის მარშლად. აღსანიშნავია, რომ ამავე წლის აპრილიდან ნოემბრამდე ილიაც ქუთაისში მუშაობდა გენერალ-გუბერნატორის საგანგებო მინდობილებათა მოხელედ. პეტრე და ილია სხვა მეგობრებთან ერთად ერთსულოვნად მოქმედებდნენ, მხარში ედგნენ ერთმანეთს ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებულ მრავალ საჭირბოროტო საკითხში, მოითხოვდნენ გლეხობის მიწიანად განთავისუფლებას. ილია თავის სათაყვანებელ მეუღლეს ქუთაისიდან სწერდა: „ჩვენი მოსვლა ვერაფრად ეჭაშნიკათ. აი, ესენი არიან ჩვენი დამღუპველებიო, ყმების წამრთმევებიო. ნამეტნავად ჩემზე თურმე ტლინკებსა ჰყრიან, ეს ვინღა გადამთიელი მოთრეულაო".

პეტრესთან ურთიერთობა ილიას მისი სიცოცხლის ბოლომდე არ გაუწყვეტია. როცა, ბანკის საქმეებით გადაქანცული, პეტერბურგიდან საქართველოში ბრუნდებოდა, თავდაპირველად პეტრე მოინახულა. ძველმა მეგობრებმა დიდხანს ისაუბრეს ახლად წამოწყებულ იმ გრანდიოზულ საქმეებზე, რომელთა განხორციელებას ილიას 30 წლის სიცოცხლე შეეწირა. პეტრე ხომ მისი იდეური თანამოაზრე იყო.

ილიამ თავის სულიერ მეგობარსა და კეთილისმყოფელს უძღვნა კიდევ ერთი ნაწარმოები — „მეფე დიმიტრი თავდადებული". ყვარლის ეკლესიის მთავართან და პეტრესთან საუბრების უშუალო შთაბეჭდილებით შეუდგა იგი თურმე ამ პოემის წერას. პოემის ხელნაწერ დედანში, რომელიც დაბეჭდვამდე ილიამ პეტრეს გაუგზავნა, ვკითხულობთ: „ძმაო, პეტრე! შენგან ჩაგონებულს შენვე გიძღვნი". ნაწარმოების ნაბეჭდ გამოცემასაც ახლავს წარწერა: „ძღვნად პეტრე ნაკაშიძეს".

როდესაც ილიამ გაზეთი „ივერია" დააარსა, თანამშრომლად პეტრეც მიიწვია. მალე „ივერიის" ფურცლებზე გამოჩნდა პ. ნაკაშიძის რამდენიმე წერილი. ერთ-ერთი მათგანი — „სასაუბრო და საფიქრალი" — პოლემიკური სიმწვავითა და პუბლიცისტური მგზნებარებით გამოირჩევა.

ბოლო წლებში პეტრე გატაცებული იყო გურიაში ნავთის საბადოების ძიებით. ამ ძიებაში გაცივდა და 1895 წლის 10 ივლისს ბორჯომში გარდაიცვალა. დაასაფლავეს იქვე.

ილია ჭავჭავაძე დაკრძალვას ვერ დაესწრო, რადგან სოფელში იყო და მოგვიანებით გაიგო მეგობრის სიკვდილი. ჟურნალმა „ივერიამ" ნეკროლოგი მოათავსა პეტრე ნაკაშიძის მოულოდნელ გარდაცვალებასთან დაკავშირებით. აქ მოთხრობილი იყო მისი დამსახურებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ. იმავე დღეს ქაშვეთის ეკლესიაში დაინიშნა პანაშვიდი პეტრეს სულის მოსახსენიებლად.




ილია გულის სიღრმემდე შეძრა ამ ამბავმა. შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხოს კაცმა ილიას წერილი პეტრეს დაქვრივებული მეუღლისადმი: „ღრმად პატივცემულო კნეინა ბაბალე! ეს-ეს არის გიახელ სოფლიდამ და შინ დამხვდა სამწუხარო ამბავი, რომ მე დავკარგე ერთი ჩემი უძვირფასესი ამხანაგი და უკეთესი მეგობარი—პეტრე, მწუხარება გამიორკეცდა, რომ ამ უბედურების გვიან შეტყობის გამო არ მომეცა საშუალება თქვენს და თქვენის სახლობის ცრემლებთან ერთად დამეფრქვია ჩემი ცრემლიცა, როცა თქვენ ეთხოვებოდით ძვირფას გვამს თქვენის მეუღლისას და ჩემის მეგობრისას. ღმერთმა ნუგეშინი გცეთ თქვენ და თქვენს შვილებს და საუკუნო განსვენება მიანიჭოს ჩვენთვის საუკუნოდვე დაკარგულ პეტრეს. მე კი დამრჩენია ნუგეშად ჭეშმარიტის თავმოწონებით ვთქვა, რომ ხელი, რომელიც გწერს ამ სამძიმარს, ხელთ სჭერია იმისთანა გულუბრყვილოს, საყვარელს და პატიოსან კაცს, როგორიც იყო ჩვენი აწ უბედური პეტრე.

თქვენი გულითადი გულშემატკივარი ამ უბედურების შემთხვევის დროს ილია ჭავჭავაძე. 1895 წ."

ილია ჭავჭავაძეს შემდგომ წლებშიც არ შეუწყვეტია ურთიერთობა პეტრე ნაკაშიძის ოჯახთან.

**ნათელა სალირაშვილი**

# ერთი ჩვეულებრივი პიონერი,

## ანუ ამბავი პიონერ იზოლდა ბერიძის მამაცობისა

**ნუგზარ აფხაზავა**

ფოტო ნ. ანასტასიევისა

„მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მშვიდობას,
შენს მთასა და ზღვას დავიცავ!“
გალაკტიონი.

მაღალმთიანი აჭარის ულამაზესი სამკაული—რაიონული ცენტრი შუახევი თვალს მიეფარა. მალე შუბანის გადასახვევიც ჩამოვიტოვეთ და ჩვენი „ნივა“ უჩამბისხევის ტყიან ფერდობებზე გაბაწრულ ვიწრო გზას გაედევნა. რევაზ დიასამიძე, თავის პროფესიას არმიაში სამსახურისას რომ დაუფლებია, ოსტატურად მართავდა მანქანას და არც აღმართ-დაღმართს, არც მკვეთრ მოსახვევებს ხელი არ შეუშლია ჩემსა და რეზო ბერიძეს შორის გამართული საუბრისათვის — კომკავშირის შუახევის რაიკომის მეორე მდივანი მეხუთეკლასელი იზოლდა ბერიძის მამაცობის ამბავს მიყვებოდა.

ამ საუბარში მივადექით შუახევის რაიონის ზურმუხტის თვალს — პატარა სოფელ უჩამბას.

●

...ჭროღათვალება ქერა ატლეტი მგლის ნაბიჯით შენთებია ვიწრო ბილიკს. ბილიკი ხან იკარგება და მაშინ სახენაიარევი უცხო კაცი ნადირის ალღოთი მიიკვლევს გზას ტყესა და ღრეში. უკვე სათვალავი აერია და აღარ იცის, მერამდენე მთა გადალახა, მერამდენე მდინარეში გატოპა, მერამდენე სოფელს აუარა გვერდი. სამაგიეროდ, ერთადერთი შემორჩენილი რუკით იცის, რომ მიზანთან სულ ახლოა და თუ ბედმა არ უმტყუნა, მიაღწევს კიდეც მას ხვალ თუ არა, ზეგ მაინც.



ორი კვირაა, უღრან ტყეში ათენაღამებს...

●

— სკოლაში მივიდეთ, — ეუბნება მდივანი მძღოლს.

ორიოდე მოსახვევი, კიდევ ერთი აღმართიც და — უკვე სკოლის ეზოში ვართ. აქედან ხელისგულივით მოჩანს უჩამბის დიდი ნაწილი—ლამაზი ოდა-სახლები, კოხტა ეზოები, დამუშავებული ნაკვეთები, საძოვრები, კორომები, უჩამბისხევის ჭალები.

ყველაზე დიდი კაპიტალური შენობა უჩამბაში — საშუალო სკოლის შენობაა.

კართან წითელყელსახვევიანი გოგო-ბიჭების ჯგუფი დგას. ჩვენ გველოდებიან.

●

...არავითარი საბუთი არ უდევს ჯიბეში უცხოს:

პატარა ხელჩანთა, თაფლ-კარაქიანი პურის ნაჭერი, მომცრო დანა...

სულ ესაა მისი ავლა-დიდება. მოზრდილი ჩანთა, რომელშიაც ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სხვა ნივთები ეწყო, ერთი სასაზღვრო სოფლის განაპირა სახლში დარჩა, იმ სახლში, სადაც ერთადერთი და ბოლო საღამო გაატარა: მასპინძელს თავი გზააბნეულ ტურისტად გააცნო, იმანაც შეიბრალა, შინ შეიპატიჟა, მაგიდასთან დასვა და სუფრა გაუშალა. ვიდრე „ტურისტი“ ვახშამს შეექცეოდა, მასპინძელი ზევით ავიდა, ოდაში, და სტუმარმა გაიგონა, როგორ დარეკა სადღაც. მყისვე იაზრა, სადაც დარეკავდა სტუმართმოყვარე, მაგრამ ფხიზელი მასპინძელი. ფანჯარა გააღო, ფეხი იშვირა და სიბნელეს შეერია, ტყეს მისცა თავი.

მერეც, ყოველ ნაბიჯში გრძნობდა გამომცდელ მზერას.

თუმცა არ უკვირდა: იცოდა, საზღვრისპირა რაიონში უნდო თვალით უყურებენ ხოლმე ყოველ უცნობს...

●

იზოლდა ბერიძის ფოტოსურათი გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ ერთ-ერთ ნომერში მქონდა ნანახი, მაგრამ ფოტოსურათში იგი გაცილებით უფროსი და სხვანაირი ჩანს. ამიტომ გამიჭირდა მისი გამოცნობა ჩვენს შესახვედრად გამოფენილ პიონერთა შორის.

ყველა სახე — ღიმილიანი, ცოტათი აღელვებულიც, ყველა გამოხედვა — ცოცხალი და საზრიანი.

და როცა სკოლის დირექტორმა, პატივცემულმა ილია ბერიძემ ერთ ტანმორჩილ დიდრონთვალება გოგონას მხარზე ხელი დაადო და წინ წამოსწია — „აი, ეს გახლავთ ჩვენი იზოლდაო!“ — გამიკვირდა: სულ მთლად ბავშვი შემრჩა ხელში! მაგრამ მყისვე გოგონას მკერდზე აკიაფებული მედალი დავინახე და იმ ბავშვს თანატოლივით გავუწოდე ხელი:

— გამარჯობა შენი, იზოლდა!

●

...უცხოსთვის თავისუფლების ბოლოსწინა დილა გათენდა.

წინა საღამოს ხევისპირა ბოსტანში, თამბაქოს კვლების ზემოთ, კარ-

ტოფილის მწკრივები შეიგულა. დ-ლით შეიცადა, ვიდრე სოფლელები სათიბში, სიმინდის ყანაში თუ თამბაქოს პლანტაციაში გაიკრიფებოდნენ.

მერე ბოსტანში შეიპარა, მარგილი მოიშველია, კარტოფილი ამოყარა და ნორჩი ტუბერებით აივსო ჯიბეები. მიდამო მოათვალიერა, საეჭვო ვერაფერი შენიშნა, ბოსტნის დაბალ ღობეს გადაახტა, გრძელი ნახტომებით გადაევლო თამბაქოს კვლებს, ცდილობდა, მყარი ნიადაგისთვის დაეკრა ფეხი, კვალი რომ არ დაეტოვებინა, თავქვე დაეშვა ჭალაში და აღმა აჰყვა უჩამბისხევს.

გულდაარხეინებული მიდიოდა: რა იცოდა, რომ ბოსტნის შორიახლო მდგარი ვაშლის ხის ტანს ამოფარებული თერთმეტი წლის გოგონას მზერას მისი ერთი მოძრაობა, ერთი ნაბიჯიც კი არ გამოპარვია.

●

...უცხო კაცი...

საოცარია: ისიც დედამ შობა, ისიც დადიოდა ჯერ—საბავშვო ბაღში, მერე — სკოლაში. მასაც ეკეთა პიონერული ყელსახვევი, ამბობდა ლექსებს, მღეროდა სიმღერებს, ჰყავდა ამხანაგები, მეგობრები. წიგნებს კითხულობდა, კინოს უყურებდა, მუსიკას ისმენდა...

მაგრამ სადღაც, თავისი წილი გზის ერთ წერტილში წაიბორძიკა, იმ გზას ასცდა და მორჩა, ამის შემდეგ ვეღარ შემობრუნდა წაღმა.

არავინ იცის, რამ შეასრულა იმ საბედისწერო ბიძგის როლი. იქნებ, თვითონაც არ ჰქონდეს გაცნობიერებული.

ეს კია, იმ დღიდან იგი უცხო გახდა ოჯახისთვის, თავისიანებისთვის, ამხანაგებისთვის, ქვეყნისთვის.

— რაკი უცხო ვარ, ჩემი ადგილიც უცხოეთშიაო, — ჩაითქვა გულში და სახელმწიფო საზღვრისკენ მიმავალ მოლიპულ ბილიკს დაადგა.

ის კი დაავიწყდა, საზღვრის სიწმინდე ხელშეუხებელი რომაა!

●

უჩამბა ბერიძეების, აბუსერიძეების, კეჟერაძეების, ნაკაშიძეების, ბეჟანიძეების, ზოსიძეების, ფევაძეების სოფელია.



ამ მწვანექუდიან ვაჟკაცებს ლირსეული თანაშემწეობა გაუწია უჩამბელმა ნორჩმა პიონერმა იზოლდა ბერიძემ

ყველა იცნობს ამ სოფელში იოსებ ბერიძეს — კოლმეურნეობის ბრიგადირს, მშრომელ კაცს; მისი ოჯახის წევრებსაც კარგად იცნობენ — მეუღლეს, მოწინავე მეთამბაქოეს, უფროს ვაჟს, თემურს, ორი შვილის მამას, რომელიც ახლა ბათუმში ცხოვრობს და მუშაობს; მომდევნო ვაჟს, თამაზს, საპრაპორშჩიკო სკოლის კურსანტს (თამაზი მესაზღვრეობას აპირებს), ჯერჯერობით ერთი ვაჟის მამას; მეშვიდეკლასელ ლამზირას და, ბოლოს—თვითონ იზოლდას, ჭკვიან, მშვიდ, ზრდილ გოგონას, დისციპლინიან და ბეჯით მეხუთეკლასელ მოსწავლეს, აქტიურ პიონერს, ბერიძეთა ოჯახის უმრწემეს წევრს.

— ერთი ჩვეულებრივი წესიერი, პატიოსანი, მშრომელი ოჯახიაო, — ამბობენ ხოლმე იოსებ ბერიძის სახლეულზე უჩამბელები.

ჩვეულებრივი ოჯახი...

●

— როგორი შვილია იზოლდა? როგორი დაა? — დაუსვით ეს კითხვა მშობლებსა და და-ძმებს.

იცით, რას გიპასუხებენ?

— ჩვეულებრივი: დამჯერე, გულიანი, მოსიყვარულე.

ჩვეულებრივი შვილი... ჩვეულებრივი დაი...

●

— როგორი მოსწავლეა იზოლდა ბერიძე? — კლასის ხელმძღვანელს, პატივცემულ ნელი ჯიოშვილს ვთხოვ იზოლდას დახასიათებას.

იღიმება:

— ჩვეულებრივი: დინჯი, მეცადინი, დისციპლინიანი. არ მახსოვს, რომელიმე პედაგოგს დაეჩივლოს, იზოლდამ გაკვეთილი არ იცოდაო, არ ისმენდაო, ხელს მიშლიდაო.

ჩვეულებრივი მოსწავლე...

●

ახლა უჩამბის საშუალო სკოლის უფროს პიონერხელმძღვანელს, თამარ თურმანიძეს მივმართე იმავე კითხვით.

— კარგი ბავშვია, — მპასუხობს.— შარშან გახდა პიონერი. დავალებებს მონდომებითა და პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდება, პირველი რგოლის ხელმძღვანელი და რაზმეულის კედლის გაზეთის რედკოლეგიის წევრია. ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი პიონერია...

●

ჰკითხეთ მის თანაკლასელებს — ზეინაბ და გიული ბერიძეებს, რუსუდან კეჟერაძეს, ნაზიბროლა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ზოსიძეებს, გენადი ფევაძეს, ზვიად ნაკაშიძეს და სხვებს — როგორი ამხანაგია-თქო იზოლდა?

— ჩვეულებრივიო, — ერთმანეთს გადახედავენ და მხრებს აიჩეჩენ, — გამტანი, თბილი, ერთგულიო.

ჩვეულებრივი ამხანაგი...

●

თითქმის ორ კვირას ჩვეულებრივზე მეტად ფხიზლობდა ისედაც ფხიზელი სასაზღვრო რაიონი — შუახევი; ფეხზე იდგნენ მესაზღვრეები, მშრომელები, ახალგაზრდები, კომკავშირი — რაიონში უცხო კაცი გამოჩნდა, რომლის ქცევაც ეჭვს ბადებდა.

ხან აქ მოჰკრეს თვალი ვიღაც-ვიღაცებმა, ხან — იქ, ხან ტყის ბილიკზე დალანდეს, ხან სოფლის ბოლოში შეეჩეხნენ. დარწმუნებით არავინ იცოდა, სად ათენ-აღამებდა და რა მიმართულებით მოძრაობდა.

დიდი და პატარა დადარაჯებული ელოდა.

1986 წლის 13 აგვისტოს დილას დაინახა იგი იზოლდა ბერიძემ თავისი ეზოდან, მზერა გააყოლა და უცდომლად განსაზღვრა უცხოს მოძრაობის მიმართულება. უცნობი თვალს მიეფარა თუ არა, გოგონამ ბოსტანი და თამბაქოს კვლები დაათვალიერა, ნაფეხურებს გოგრის ფოთლები წააფარა (იქნებ მესაზღვრეთა ძაღლებს კვალის აღებაში დაეხმაროსო), მერე გაიქცა, მამა მოძებნა და ნანახი და გაკეთებული უამბო.

●

მერე ის იყო, რაკიღა გეზი შეიტყვეს, მესაზღვრეები კვალში ჩაუდგნენ უცხო კაცს და მეორე დღეს, განთიადისას, როცა უკანასკნელი ნახტომის წინ (ორიოდე ნაბიჯიღა რჩებოდა საზღვრამდე) დანაყრება გადაწყვიტა და შემცივნულმა კოცონი დაანთო, სწორედ მაშინ წაადგნენ თავს.

●

1987 წლის 14 თებერვალს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტში ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ჯარების სარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა გ. ა. ზგერსკიმ საბრძოლო მედალი — „სსრკ სახელმწიფო საზღვრის დაცვისათვის“ — მიაბნია მკერდზე უჩამბის საშუალო სკოლის მეხუთეკლასელ პიონერს იზოლდა იოსების ასულ ბერიძეს.

●

უჩამბის საშუალო სკოლა — ჩვეულებრივი საშუალო სკოლა.

150 მოსწავლე. 72 კომკავშირელი. 57 პიონერი.

თავის სპეციალობასა და ბავშვებზე შეყვარებული პედაგოგები თინა ირემაძე და ავთანდილ ბერიძე, შაქრო კეჟერაძე და ნოდარ ფევაძე, შოთა ბერიძე, ლილი ცინარიძე, ზურაბ ვახტანგაძე, ივანე ველიაძე — პედაგოგები, რომლებიც პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის, მეგობრობისა და ჰუმანიზმის წმინდა გრძნობებს უღვივებენ თავიანთ მოსწავლეებს.

სკოლაში სათანადო ყურადღება ექცევა მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას.

პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს მჭიდრო კავშირი აქვთ მეზობელ სასაზღვრო ნაწილთან, შექმნილია მესაზღვრეთა ნორჩი მეგობრების რაზმი, რომელიც მკაფიო და რეალური გეგმით მუშაობს.

●

თვითონ იზოლდა ძალზე მოკრძალებულად აფასებს თავის ნამოქმედარს. აი, რა თქვა მან ჯილდოს მიღების დროს: „გაოცებული ვარ, რა გავაკეთე ისეთი, რომ ჩემს თანატოლებთან შედარებით ასეთი გამორჩეული ყურადღება მერგო... თავს უხერხულად ვგრძნობ, რადგან არავინ ამბობს იმაზე, რომ ჩვენი კლასის ყოველი მოსწავლე ჩემსავით მოიქცეოდა... დღევანდელი ჯილდო, რომელიც მე გადმომცეს, სკოლას და ყველა ჩემს თანატოლს ეკუთვნის“.

●

...საოცრად უხდება საბრძოლო მედალი ალისფერ პიონერულ ყელსახვევს.



## სიზმარი

ბიბლიოთეკა

### რ ე ვ ა ზ ა ს ა ე ვ ი

ჰგავს ზაფხულის დილა
ჩვილ ბავშვს,
ამოყვანილს ემბაზიდან;
მზეა სავსე კამკამა ცრით
თუ ცვარია სავსე მზითა?
ნაკადულმაც გაიღვიძა
და წკრიალით სივრცეს ბზარავს;
ცა — მიწას და
მიწა კი — ცას
მოყვასურად უთვლის სალამს.
მოჭიხვინობს მთის მდინარე,
ჰგავს გავარდნილს ველზე რემას.
გაუთიბავ ველებიდან
ფრინველების ისმის სტვენა.
მოჩანს გზა და
იმ გზის გასწვრივ
შრიალებენ მწყობრად ხენი;
ფოთლებიც კი მზად არიან —
თქვენ სიმღერა მოსალხენი.
მე მსხლის ჩერო ავირჩიე,
ცელი მქონდა გასალესი —
გლეხი კაცის თანამდგომი,
მისი სუნთქვა და ალერსი.
ჰე, სათიბო, გამიძელი,
მე ვარ შენი მასპინძელი!
კრიალა და ნამით სველი,
გამიცოფდეს ლამის ცელი...
აქ „დოდოი“ გამახსენდა,
ლარი მივეც ამაყ სევდას
და დავძახე ჰანგი ძველი,

### მანანა ზაზიკაშვილი

### ვინ შემომაშველებს ხელს?

ნაზამთრალ მდელოზე
მიწა რომ გათბება,
ია რომ ამოყოფს თავს,
მას შემდეგ აპრილი
ამ მიწას, ამ ზეცას
ათასფერ ხალიჩად რთავს.
მარტი რომ სულს უდგამს
იებს და ენძელებს,
აპრილი ალვიძებს ველს,
ჩემი გაზაფხული
როდისლა დადგება,
ვინ შემომაშველებს ხელს?

ცნობილი ოსი პოეტის რევაზ ასაევის ეს პოემა ეძღვნება ოსური ლიტერატურის კლასიკოსს კოსტა ხეთაგუროვს. ალბათ გახსოვთ მისი ლექსი „ობლების დედა“: დედა ქვაბში ქვებს ხარშავს, რათა დამშეულ ობოლ ბავშვებს შეჭამადის მოლოდინში ჩაეძინოთ...

პოემაში „სიზმარი“ ნაჩვენებია ოსი ხალხის დიდი მომღერლის რევოლუციური სულისკვეთება.

ახლებური, ნაღდი რწმენით.
მგზავრს მოვკარი
ამ დროს თვალი,
მომაშველა მანაც ბანი, —
როგორც შვენის ნამდვილ ნართელს!
თითქოს ახლად დავიბადე!
ვხედავ:
ჩემკენ მოდის დინჯად,
თან გათიბულ თივას სინჯავს,
ხმა გაკმინდეს ჩიტუნებმა,
ბულბულიც კი იტრუნება, —
სიმღერისთვის გაჩენილო,
როგორ გკადროთ ხმა ჩვენიო!
არც — მაღალი,
არც — დაბალი,
მოკელაობს სათიბ-სათიბ,
მზით კი არა, სულ სხვა მადლით
ბრწყინავს დიდი მამითადი.
წარბებქვეშაც სულ სხვა ცეცხლი
უგუზგუზებს გამალებით,
ფეხთ აცვია წვრილი ღვედით
ამოსხმული ქალამნები.
ისე შვენის, ისე შვენის
ბაშლიყი და თეთრი წვერი,
უნებლიეთ გავიფიქრე:
„მობრძანდება ხევისბერი!..“
თეთრყირმიზი ჩოხა მისი,
გზადაგზა რომ ქარი ჰკოცნის,
მიმანიშნებს, რომ სტუმარი
უშიშარი არის ოსი.

თვალი თვალს რომ შეხვდა,
ამ დროს
მივესალმე გულისძგერით:
— გამარჯობა, ხეთაგათო,
კეთილ იყოს მოსვლა შენი!
— შენც სიკეთით გეთიბოსო, —
მიპასუხა მადლიანმა.
როცა ხელიც ჩამომართვა,
სახე გაინათლიანა.
შინდის კომბალს დაეყრდნო და
გამიღიმა ეშხიანად;
აგრე მკითხა: — „დოდოისო“
კვლავ მღერიან მთებში განა?
— მღერიანო? „დოდოის“ ხმა
გამჯდარი აქვს ოსეთის სისხლში;
ღამ-ღამე თუ სისხამ-სისხამ,
ვით ისმოდა, ახლაც ისმის.
— გუგუნებდა იგი ჩემ დროს
და ცეცხლივით ირგვლივ ენთო.
„დოდოის“ ხმა რომ ესმოდა,
შიშისაგან მეფეც თრთოდა.
აგრე უთქვამს,
„დოდოის“ მთხზველს
ეშაფოტზეც ავიყვანთო.
ამიტომაც ნარში ყოფნა
იყო ჩემთვის სახიფათო.
ეშაფოტი ამცდა, მაგრამ
ველარ ავცდი ციხის კედლებს;
ხერსონის გზას გამიყენეს,
ბნელ საკანში გამომკეტეს.

ლუკმას ისე არ ვნატრობდი,
როგორც სითბოს,
როგორც მზის სხივს;
იქ ბევრს დასცდა სინანული,
მე შემომრჩა მხოლოდ ზიზღი
მეფისა და ტახტის მიმართ.
ბოლოს ბედმა გამიღიმა!
თუმცა ბედი ერქვა როდი,
მე ხომ მყობადს შევხაროდი?!
თქვა თუ არა, ჩაბალახი
გადაიძრო იმან ჩქარა,
მოიმარჯვა ჩემი ცელი
და დაუწყო თიბვა ბალახს.
მე კი, იქვე, მის მაცქერალს
მახარებდა ფიქრი ლაღი:
„აი, ასე მოიცელა
მეფეცა და მისი ტახტიც!..“
„ახლა დასტკბით, ახლა ნახეთ,
ვით დაჰხარის მზე აულებს;
ნარის მშობელს ველარ ჩაგრავს
ის — ალდარი მემამულე.
არც „ობლების დედა“ მოსთქვამს,
მისი ცოდვით ცრემლნიც დაშრნენ;
ქვებს არ ხარშავს, რათა ძილი
მოერიოთ მშიერ ბავშვებს...“
ასე ბჭობდა თუ ფიქრობდა
ის — თავისთვის,
მე კი — ჩემთვის.
მსურდა ძმურად მოვხვეოდი,
მაგრამ სიმხნეს ვერ ვიჩენდი.
ბოლოს, როცა შედგა იგი
და მეც ჩემს თავს მოვერიე,
გამეღვიძა...
თურმე ძილში
მზმანებია ყოველივე.

თარგმნა ო. შალამბერიძემ

## რა სჯობია

რა სჯობია ამ მწვანე ხეს,
ქვაში ჩარგულს,
ამ მიმოზებს, მაგნოლიებს,
ხვიარებს,
ეს ზაფხული სულ სხვა
რიხით მოვიდა,
ეს ზაფხული
სულ სხვა ხმაზე ხმიანებს.
ამ ბიბინა მინდორ-ველს რომ
გავხედავ,
ყაყაჩოებს, ოქროღილებს, იელებს,
სიყვარული ისევ ცეცხლში
გამხვევს და
სიყვარული გულში
ისევ იელვებს.

## მხატვარი

ზის და ხატავს,
დასახატს რა გამოლევს!
ხატავს მეტეხს,
ვარაზისხევს და სიონს,
არაგვისპირს
ისე ნაზად დაკოცნის,
არ ეტკინოს
ძარღვი თეთრ კავკასიონს.
მთამსვლელივით
შეეჭიდა მთაწმინდას,
მამადავითს
სტყორცნა თვალთა ისარი,
შავნაბადაც,
ნარიყალაც დახატა,
ორთაჭალის
ბაღებიც და ისანიც.
ზის და ხატავს,
დასახატს რა გამოლევს!
თბილისური
სურნელია დილისა;
ოცნებებში
ჩაძირულა მხატვარი,
თუ თილისმა
გაუკეთა თბილისმა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა



აპლიკაცია. გიორგი მთვარელიძე,
გორის მე-9 საშ. სკოლა, VII კლასი.

# ჩვენი შემოქმედების კონკურსი „ოქტომბერი ჩვენს გულებში“

### ჩემს დედას

სანამ იყავი ცოცხალი, დედი,
ვიარებოდი უფრო მხრებგაშლით,
ცხოვრების უღელს მსუბუქად ვწევდი,
მეგონა, მუდამ ვიყავი ბავშვი.
დუხჭირ ცხოვრების იყავ მემკვიდრე,
გრძნობდი, რომ ბევრი
რამ აკლდათ შვილებს,
მხრებსდაწოლილი ეს ტვირთი მძიმე
ცეცხლს უკიდებდა შენს
სიყმაწვილეს.
გშვენოდა მუდამ სულის სინაზე,
შრომა და გარჯა მიგაჩნდა არად;
გსურდა, შვილები ცხოვრების გზაზე
გამოგვეყვანა ადამიანად.
ფიქრიან შუბლზე ნაოჭი ვაჩნდა,
ჩვილის აკვანთან ლამეგატეხილს,
უკან დასდევდი პატარა ლამქარს
ჭიქა წყლითა და მჭადის ნატეხით.
ვერ ეწეოდი წყალობის ლოდინს,
თვითონ გვიქსოვდი
ხალათს და კაბას,
ჩამოურბენდი შვილების ლოგინს,
შეგვიკეცავდი გადახდილ საბანს.
შემაჯრიალებს ფიქრების ჯარი,
სევდას და წუხილს ვერ გავუძელი...
რა მოვახერხო, მე შენი ვალი
სანამ ვატარო გადაუხდელი!

ფოლა მანკაძე? ...

ფოლა მანკავებაძე,
ზესტაფონი, ალავერდის საშუალო
სკოლა, VIII კლასი.

### მსხალი და გოჭები

ამოვარდა ზენა ქარი,
ჩამოვარდა ხიდან მსხალი,
გამოქანდნენ გოჭუნები,
ერთი — ჭრელი,
ერთი თეთრი;
ნეტავ როგორ გაიყოფენ?
გოჭი — ორი,
მსხალი — ერთი.

### შევრიგდეთ

რად გამებუტე, მაიკო,
განა ისეთი რა იყო?
მოდი, ახლავე შევრიგდეთ,
თორემ ქვეყანამ გაიგო.

მზია სეფიაშვილი,
გურჯაანი, ჭანდრის
საშუალო სკოლა.

### გაზაფხულია

გაზაფხულია, მღერის ტოროლა,
თავისთვის ჩუმად გალობს
ბულბული,
ვარდის სურნელში თვლემს და
ილვიძებს,
ხმას ჩააქსოვა გული და სული.
სოფლის გადაღმა წისქვილი ბრუნავს,
კიდევ ატყუებს გიგა ბებიას,
ხეებს კი თითქოს თავის სიშიშვლის
რცხვენიათ, სწრაფად იმოსებიან.

●

მზემ სხივები მიმოფანტა,
თოვლი დნება, ეს რა ხდება?
გულწამტაცი, მშვენიერი
გაზაფხული მობრძანდება.
მობრძანდა და მოიტანა
ყვავილები თვალხატულა.
გადახედეთ — ჩვენს ველებზე
ხალიჩები დაქარგულა.
გაჩნდა გუნდი ფრინველების,
ახმაურდა მთა და ველი.
— ჩვენთან გიწვევთ დღეს მეჯლისზე,—
გადმოგვძახის ტყიდან შველი.

მაგული ფილიაშვილი,
ქარელი, 1-ლი საშ. სკოლა.

### ვაზო, ჩემო ფირუზლალო

ფირუზლალო, ფირუზთვალო,
„ვაზო, შვილივით ნაზარდო“,
ლამის შენი იაგუნდის
ცქერით ათჯერ გავიზარდო.
გეხვევი და თავს გევლები,
კრასუნავ და ხარისთვალავ;
დაე, დატკბეს შენი ლხენით,
ვინაც ფესვი გაგიხარა.
რქაწითელავ, იზაბელავ,
ძველშავო და ჩემო თითავ,
დამილოცეთ საქართველო
მისი ტურფა ბუნებითა!

დომენტი ჩუბინიძე,
ვანი, უხუთის საშუალო
სკოლა, VII კლასი.

### მაშ, გაუმარჯოს ყველაფერს პირველს!

პირველ ენძელას, ამოსულს ველად,
ბავშვივით შემკრთალს პირველ ქუხილზე,
პირველ გაზაფხულს და პირველ სითბოს —
დე, გაუმარჯოს ყველაფერს პირველს!
პირველ თოვლებს და პირველ ნაწვიმებს
და ჩვილის პირველ უცოდველ ღიმილს,
დამშრალ სურვილებს, დაშრეტილ იმედს,
რომელიც მაინც ბჟუტავს და ღვივის;
ცაში მიმალულ თეთრგულა მერცხალს,
ტყეში პირველად გამოსულ ირემს,
ყვავილზე დამჯდარ ზუზუნა ფუტკარს
და დედულეთის მჭვარტლიან ბუხარს;
ჩიტისთვის ნასროლ აცდენილ ტყვიას
და პირველ კოცნას, მწველსა და ქურდულს,
ყველაფერს, რასაც პირველი ჰქვია,
რასაც სითბო და სიწმინდე შვენის —
თაყვანი ჩემი!
მაშ, გაუმარჯოს ყველაფერს პირველს!

სულხან ჩიტიშვილი,
კასპი, სამთავისის საშუალო
სკოლა, VII კლასი.



ნატო გურგენიძე, 6 წლის.

### ტოროლა

უყვარს სიცოცხლე,
ეტრფის გაზაფხულს,
ზეცა ზარია მისთვის;
ყურს რომ მიუგდებ,
ის ხმა წკრიალა
ცის ტატნობიდან ისმის.
დილის მესოტბეს,
ველის მომღერალს
სიამით უსმენს ყველა:
რუ, ნაკადული,
ბაღი, ვენახი,
ქერის ყანა და კაცი,
პანგებს მოჰფანტავს
ცისფერ მინდორზე
დილის ნიავი ანცი.

●

სოფლის შარაზე ხომ გინახავს
ციცინათელა?
ბნელში კაცისთვის იმედია,
იცით, რამხელა?
ასე ამბობენ, მაცნეაო
კარგი ამინდის
იმისი ნაზი ციმციმ-ნათება.

### მე ნაკადულის ერთი წვეთი ვარ

როცა ცაზე ლეგა
ღრუბლის ქულას ხედავ,
მეც იქა ვარ მაშინ,
მეც მის გულში ვფეთქავ;
მერე, როცა წვიმა
ციდან ცერად ცრის,
მეც ვიქცევი წვეთად
და ვისწრაფი ძირს.
აი, ჩემი დები
კლდიდან ეშვებიან
და ნაკადულს მჩქეფარს
გულში ეკვრებიან.
მალე მეც მის გვერდში
ადგილს მიმიჩენენ
და სხვა წვეთებივით
ცეკვას მიმაჩვევენ.

ანა ოქრიბელაშვილი,
თბილისი, მე-4 საშუალო
სკოლა, VI კლასი.

### მუსიკა

მუსიკა შეწყდა
და დაისვა დიდი წერტილი
გადლაბნილ ლაქად.
გაქრა სიმღერა,
თითქოს დრომაც
შეწყვიტა სრბოლა.
ნოტების ზვირთი
წვრილ მხედებად დაიმალა
თეთრ კლავიშებზე
და აკორდები შეერივნენ
სიჩუმეს შავად.

მარეხ ციცქიშვილი,
ხაშური, მე-4 საშუალო
სკოლა, IX კლასი.

▼

აქ დაბეჭდილი ნაწარმოებები დაშვებულია კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. ამ და შემდ. ნომრში გამოქვეყნებული ნაწარმოებებიდან შეირჩევა საუკეთესოები დასაჯილდოებლად.

▲



„ძველი და ახალი თბილისი“.
იზა მეგრელიშვილი, თერჯოლა,
ვარდიგორის საშ. სკოლა, VI კლასი.



„გაზაფხული“. დიანა
კეკელაშვილი,
6 წლის.



„მესაზღვრე“. ეკა კარიაული,
დუშეთი, 1-ლი საშ. სკოლა. 9 წლის.



„ორი ხე“. ანეტა აბულაშვილი,
კაკაბეთის საშ. სკოლა, IV კლასი.



„ჩიტი“. (ნაქარგი).
იამზე ხარაზი,
ქობულეთი, კვირიკეს საშუალო
სკოლა, VI კლასი.

18.497

# კლასგარეშე



# ინფორმატიკა

განყოფილებას ხელმძღვანელობს
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა
კანდიდატი ჰ. მელაძე

# 1+1=10?

წინა საუბრის დროს ჩვენ გაგაცანით კომპიუტერის არქიტექტონიკა, აღვნიშნეთ, რომ მისი მთავარი შემადგენელი ნაწილებია მეხსიერება (აქ ხდება რიცხვებისა და პროგრამების დამახსოვრება) და პროცესორი, სადაც ამ რიცხვებზე საჭირო მოქმედება ტარდება. ახლა უფრო დაწვრილებით გავეცნოთ, თუ როგორ იმახსოვრებს კომპიუტერი რიცხვებს, როგორ ატარებს სხვადასხვა არითმეტიკულ ოპერაციას.

თითოეული თქვენგანი იცნობს რიცხვების ჩაწერის ორ ხერხს — რომაულსა და არაბულს. პირველს ვიყენებთ რიგის (მათზე არითმეტიკულ ოპერაციებს არ ვასრულებთ), ხოლო მეორეს — რაოდენობის აღსანიშნავად და ყველა შესაძლო არითმეტიკული ოპერაციის — შეკრება-გამოკლების, გაყოფა-გამრავლების, ახარისხებისა და ფესვის ამოღების ჩასატარებლად. ადამიანისგან განსხვავებით, კომპიუტერს არ შეუძლია რომაული ციფრების გარჩევა, ხოლო არაბულიდან იცნობს მხოლოდ ე. წ. ორობით რიცხვებს. იგი მხოლოდ მათ იმახსოვრებს და მოქმედებებსაც მათზე ასრულებს.

რა არის ორობითი რიცხვი? დავუბრუნდეთ ისევ არაბულ რიცხვებს. ერთსა და იმავე ციფრს ამ სისტემაში შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეს, იმის მიხედვით, თუ რომელ თანრიგშია იგი მოთავსებული. მაგალითად, თუ ავიღებთ რიცხვებს — 215, 753, 590, პირველ შემთხვევაში ციფრი „5“ აღნიშნავს 5-ს, მეორეში — 50-ს, მესამეში — 500-ს. ეს რიცხვები შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

$$215=200+10+5=$$
$$=2\times10^2+1\times10^1+5$$
$$753=700+50+3=$$
$$=7\times10^2+5\times10^1+3$$
$$590=500+90+0=$$
$$=5\times10^2+9\times10^1+0$$

ასეთ ჯამებად შეიძლება დავშალოთ ნებისმიერი რიცხვი. როგორც ხედავთ, ხარისხის ფუძედ გამოიყენება 10, ამიტომ არაბულ სისტემას რიცხვთა ჩაწერის ათობით სისტემას უწოდებენ, ხოლო 10-ს — თვლის სისტემის ფუძეს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ათობით სისტემაში ნებისმიერი რიცხვის ჩასაწერად ათი განსხვავებული ციფრია (0-დან 9-მდე) საკმარისი.

ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა ხარისხის ფუძედ რომელიმე სხვა რიცხვის გამოყენება? დიახ, შეიძლება. თვლის სისტემის ფუძე შეიძლება იყოს 1-ზე მეტი ნებისმიერი ნატურალური რიცხვი. ამ შემთხვევაში მივიღებთ თვლის ახალ სისტემას მისივე ფუძის ტოლი იმდენივე ციფრით. მაგალითად, თუ თვლის სისტემის ფუძედ ავიღებთ 5-ს, მივიღებთ ხუთობით სისტემას და გვექნება 5 ციფრი (0, 1, 2, 3, 4), თუ ავიღებთ 16-ს — მივიღებთ 16-ობით სისტემას 16 ციფრით (0,... 9, A, B, C, D, E, F), თუ ავიღებთ 2-ს — მივიღებთ ორობით სისტემას 2 ციფრით (0 და 1).

ქვემოთ მოტანილ ცხრილში პირველი 16 ნატურალური რიცხვი ჩაწერილია თვლის სხვადასხვა სისტემაში.

იმისათვის, რომ სხვა სისტემაში ჩაწერილი რიცხვი ათობითში გადავიყვანოთ, იგი უნდა ჩავწეროთ ზემოთ მოყვანილი სახით და შევკრიბოთ როგორც ათობითი რიცხვები. რომ გავარჩიოთ, თუ რომელ სისტემაშია რიცხვი ჩაწერილი, მას ინდექსად მივუწეროთ თვლის ფუძე, მაგალითად:

$$314_5=3\times5^2+1\times5^1+4=$$
$$=75+5+4=84$$
$$91A_{16}=9\times16^2+1\times16^1+10=$$
$$=2304+16+10=2330$$
$$1101_2=1\times2^3+1\times2^2+0\times2^1+1=$$
$$8+4+0+1=13$$

რაიმე რიცხვის დასამახსოვრებლად კომპიუტერმა უნდა დაიმახსოვროს ამ რიცხვის ყველა თანრიგი. ამიტომ მას ყველა ციფრის „გარჩევა“ უნდა შეეძლოს, ე. ი. ათობით სისტემაში ჩაწერილი რიცხვის დასამახსოვრებლად კომპიუტერმა უნდა „გაარჩიოს“ ათი განსხვავებული ციფრი. ასეთი მოწყობილობის დამზადება დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. რა თქმა უნდა, ბევრად უფრო მარტივად მზადდება ისეთი მოწყობილობა, რომელსაც შეეძლება განსხვავებული ციფრების, კერძოდ, 0-ისა და 1-ის „გარჩევა“. აი, რატომ იმახსოვრებენ კომპიუტერები მხოლოდ ორობით რიცხვებს.

მოვიტანოთ მაგალითი: ავიღოთ ჩვეულებრივი ნათურა, როგორც მოწყობილობა, რომელსაც შეუძლია დაიმახსოვროს ორი განსხვავებული ციფრი. ანთებული ნათურა შეესაბამება 1-ს, ჩამქრალი კი — 0-ს. ვთქვათ, ოთხი ნათურიდან თი-

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ათობითი — 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
| ხუთობითი — 1 | 2 | 3 | 4 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 30 | 31 |
| თექვსმეტობითი — 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | A | B | C | D | E | F | 10 |
| ორობითი — 1 | 10 | 11 | 100 | 101 | 110 | 111 | 1000 | 1001 | 1010 | 1011 | 1100 | 1101 | 1110 | 1111 | 10000 |

თეული უნდა შევუსაბამოთ ორობითი რიცხვის თანრიგს, მაშინ მათი საშუალებით ნებისმიერი ოთხნიშნა ორობითი რიცხვიც შეიძლება წარმოვადგინოთ.

**წარმოდგენილია რიცხვი $1001_2$**



**წარმოდგენილია რიცხვი $0101_2$**



კომპიუტერებში რიცხვების წარმოდგენა, რა თქმა უნდა, ნათურების საშუალებით არ ხდება, მაგრამ არსებობს ელემენტები, რომლებსაც, ნათურების მსგავსად, ორი მდგრადი მდგომარეობა აქვს (ან „ანთებული“ ან „ჩამქრალი“). მათგან ერთი შეესაბამება 1-ს, ხოლო მეორე — 0-ს.

გარდა იმისა, რომ ორობითი რიცხვების წარმოდგენა კომპიუტერში ბევრად უფრო მარტივად ხდება, ვიდრე ათობითისა, ადვილია ორობით რიცხვებზე ელემენტარული არითმეტიკული ოპერაციების ჩატარებაც. ათობით რიცხვებზე მოქმედებების ჩასატარებლად უნდა ვიცოდეთ ერთნიშნა რიცხვების შეკრებისა და გამრავლების ცხრილი, რომელიც 100 ნამრავლსა და ჯამს შეიცავს. ანალოგიური ცხრილი უნდა ვიცოდეთ ორობით რიცხვებზე მოქმედების დროსაც, მაგრამ ამ შემთხვევაში ცხრილი შეიცავს ოთხ ნამრავლსა და ჯამს:

| | |
|---|---|
| $0+0=0$ | $0\times0=0$ |
| $0+1=1$ | $0\times1=0$ |
| $1+0=1$ | $1\times0=0$ |
| $1+1=10$ | $1\times1=1$ |

როგორც ხედავთ, შეკრებისა და გამრავლების წესი ზუსტად ისეთივეა, როგორც ათობითი რიცხვების შემთხვევაში. მაგალითად, შევკრიბოთ $1011_2$ და $101_2$.

$$\begin{array}{r} 1001_2 \\ +\;101_2 \\ \hline 0_2 \end{array} \quad 1+1=10$$

ვწერთ 0-1, ვიმახსოვრებთ 1-ს.

$$\begin{array}{r} 1001_2 \\ +\;101_2 \\ \hline 10_2 \end{array} \quad 0+0=0,\ 0+1=01,$$

ვწერთ 1-ს.

$$\begin{array}{r} 1001_2 \\ +\;101_2 \\ \hline 1110_2 \end{array} \quad 0+1=1.$$

ვწერთ 1-ს.

ახლა გავამრავლოთ ეს რიცხვები:

$$\begin{array}{r} 1001_2 \\ \times\;101_2 \\ \hline 1001_2 \\ +\;1001_2\phantom{00} \\ \hline 101101_2 \end{array}$$

ათობითი რიცხვების მსგავსად ხდება გამოკლება და გაყოფაც, იმ განსხვავებით, რომ საჭიროების შემთხვევაში უფროსი თანრიგიდან „ვსესხულობთ“ არა 10 ერთეულს, არამედ — 2-ს. მაგალითად:

$$\begin{array}{r} 1001_2 \\ -\;101_2 \\ \hline 100_2 \end{array} \qquad \begin{array}{r|l} 110111_2 & 101 \\ \cline{2-2} -\;101\phantom{111} & 1011_2 \\ \cline{1-1} 111\phantom{11} & \\ -\;101\phantom{11} & \\ \cline{1-1} 101 & \\ -\;101 & \\ \cline{1-1} 0 & \end{array}$$

ახლა განვიხილოთ, თუ როგორ ხდება ერთი სისტემიდან მეორეში გადაყვანა. ორობითიდან ათობითში გადაყვანაზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. ათობითიდან ორობითში გადასაყვანად არსებობს ერთი ასეთი წესი: ათობითი რიცხვი უნდა გავყოთ 2-ზე და დავიმახსოვროთ ნაშთი, შემდეგ მიღებული განაყოფი ისევ უნდა გავყოთ 2-ზე და კვლავ დავიმახსოვროთ ნაშთი და ასე შემდეგ. ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს განაყოფში 0-ის მიღებამდე, რის შემდეგაც მიღებული ნაშთები უკუთანმიმდევრობით უნდა ჩავწეროთ. მაგალითად, გადავიყვანოთ ორობით სისტემაში რიცხვი 50:

$$\begin{array}{r} 50:2=25 \\ -\;50\phantom{:2=25} \\ \hline 0\phantom{:2=25} \end{array} \quad \begin{array}{r} 25:2=12 \\ -\;24\phantom{:2=12} \\ \hline 1\phantom{:2=12} \end{array} \quad \begin{array}{r} 12:2=6 \\ -\;12\phantom{:2=6} \\ \hline 0\phantom{:2=6} \end{array}$$

$$\begin{array}{r} 6:2=3 \\ -\;6\phantom{:2=3} \\ \hline 0\phantom{:2=3} \end{array} \quad \begin{array}{r} 3:2=1 \\ -\;2\phantom{:2=1} \\ \hline 1\phantom{:2=1} \end{array} \quad \begin{array}{r} 1:2=0 \\ -\;0\phantom{:2=0} \\ \hline 1\phantom{:2=0} \end{array}$$

$$50=110010_2$$

მართლაც,

$$110010_2=1\times2^5+1\times2^4+0\times\times2^3+0\times2^2+1\times2^1+0=32++16+0+0+2+0=50$$

დღეს ჩვენ ვისაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორ ხდება რიცხვების წარმოდგენა კომპიუტერში, როგორ სრულდება მათზე არითმეტიკული მოქმედებები. ვნახეთ, რომ კომპიუტერი, ადამიანისაგან განსხვავებით მუშაობს, თვლის ორობით სისტემაში, რომ მას მხოლოდ 0-ებისა და 1-ების გარჩევა შეუძლია. ამიტომ მისთვის მიწოდებული ყველა რიცხვიცა და ბრძანებაც ამ ციფრებისაგან უნდა შედგებოდეს. ეს მანქანისთვის ძალზე მოსახერხებელია, თუმცა კი პრაქტიკულად მიუღებელია ადამიანისათვის... თუ როგორ გადაილახება ეს წინააღმდეგობა, ამაზე მომავალში ვისაუბრებთ.

**პაატა წერეთელი**

# მოხუცი მზარეული



**ქ. პაუსტოვსკი** — მხატვარი თ. ფხაკაძე

მ ო თ ხ რ ო ბ ა

1786 წლის ზამთრის ერთ საღამოს ქალაქ ვენის განაპირას, პატარა ხის სახლში კვდებოდა ბრმა მოხუცი — გრაფ ტუნის ყოფილი მზარეული. კაცმა რომ თქვას, ეს სახლი კი არა, ძველი ჯიხური უფრო იყო, ბაღის სიღრმეში ჩადგმული. ბაღი ქარისგან ჩამოყრილ დამპალ შტოებს დაეფარა. ხმელ ტოტებს ყოველ ნაბიჯზე ლაწალუწი გაუდიოდა და მაშინ ჯიხურზე მიბმული ძაღლიც ღრენას იწყებდა. ისიც სიბერით კვდებოდა, როგორც მისი პატრონი, და უკვე ყეფაც აღარ შეეძლო.

ამ რამდენიმე წლის წინათ მზარეული ღუმელის სიმხურვალემ დააბრმავა. იმ დღიდან გრაფინიას მმართველმა ჯიხურში შეასახლა და დროგამოშვებით რამდენიმე ფლორინს თუ მიუგდებდა, ეს იყო და ეს.

მზარეულთან მისი თვრამეტი წლის ქალიშვილიც ცხოვრობდა. ჯიხურის მთელ მორთულობას შეადგენდა საწოლი, დამტვრეული სკამები, ერთი უშნო მაგიდა, ქაშანურის დაბზარული ჭურჭელი და, ბოლოს, კლავესინი — მარიას ერთადერთი სიმდიდრე. კლავესინი იმდენად ძველი იყო, რომ მისი სიმები ყოველგვარ ხმაურზე დიდხანს და წყნარად ჟღერდნენ. მზარეული კლავესინს ხუმრობით „სახლის დარაჯს“ ეძახდა — იგი ხომ ყველა შემომსვლელს ბებრული, აკანკალებული ხმით ეგებებოდა.

როცა მარიამ ავადმყოფი დაბანა და გრილი, სუფთა პერანგი ჩააცვა, მოხუცმა უთხრა: მღვდლები და ბერ-მონაზვნები მუდამ მეჯავრებოდნენ, არ მინდა აღსარება მღვდელს ვუთხრა, მაგრამ რა ვქნა, სიკვდილის წინ სინდისის გაწმენდა მწადიაო...

— როგორ მოვიქცე? — ჰკითხა შეცბუნებულმა მარიამ.

— ქუჩაში გადი, პირველსავე შემხვედრს სთხოვე — წამოგყვეს და მომაკვდავის აღსარება მოისმინოს. არა მგონია, ვინმე დაგზარდეს, — ურჩია მოხუცმა...

— ჩვენი ქუჩა ისე უკაცრიელია... —ჩაილაპარაკა მარიამ, თავშალი წამოისხა და გარეთ გავიდა. ბაღი გადაირბინა, ძლივს გააღო ჩაჟანგული პატარა ჭიშკარი და შეჩერდა. მთელ ქუჩაზე მართლაც კაცის ჭაჭანება არ იყო, მხოლოდ ქარი დააფრიალებდა ფოთლებს და მოღრუბლულ ცას ცივი წვიმის წვეთები სდიოდა.

მარიამ დიდხანს იცადა, იქნებ ვინმემ ჩაიაროსო. მერე კი დაინახა, ვიღაც კაცი ღობეს მიუყვებოდა და მიღიღინებდა. მარიამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, კაცს მიუახლოვდა და დაუძახა. კაცი შეჩერდა:

— ვინა ხართ?

მარიამ ხელი ჩაავლო და აკანკალებული ხმით გაანდო მამის წადილი.

— კარგი, — მშვიდად უპასუხა უცნობმა. — მართალია, მღვდელი არა ვარ, მაგრამ ეგ სულ ერთია. წავიდეთ.

სახლში შევიდნენ. სანთლის შუქზე მარიამ გალეული, ჩია კაცი დაინახა. უცნობმა სველი ლაბადა გაიძრო და სკამზე დააგდო. უბრალოდ და მოხდენილად ეცვა. სანთლის შუქი მის შავ კამზოლზე, ბროლის ღილებსა და მაქმანის ქაბოზე ციმციმებდა.

უცნობი მთლად ახალგაზრდა იყო. ბიჭივით გაიქნია თავი, გაპუდრული პარიკი გაისწორა, ტაბურეტი საწოლთან მიაჩოჩა, დაჯდა, დაიხარა და დაჟინებით, მხიარულად დააცქერდა მომაკვდავის სახეს.

— აბა, ილაპარაკეთ, — თქვა მან, — იქნებ შევძლო, გულიდან ლოდი მოგაშოროთ და უკანასკნელი წუთები შეგიმსუბუქოთ არა ღვთისაგან ბოძებული ძალაუფლებით, არამედ იმ ხელოვნებით, რომელსაც მე ვემსახურები.

— მთელი ცხოვრება ვმუშაობდი, ვიდრე დავბრმავდებოდი, — თქვა მოხუცმა, უცნობს ხელი ჩაჰკიდა და მიიახლოვა. — მას კი, ვინც მუშაობს, ცოდვების ჩასადენად არა სცალია. როცა ჩემს ცოლს — მარტას ჭლექი გაუჩნდა, მკურნალმა ექიმმა ძვირფასი წამლები გამოუწერა, ბრძანა, ყოველდღე ნაღები აჭამეთ, ცხელი წითელი ღვინო ასვითო. მაშინ მე გრაფინია ტუნის სერვიზიდან პატარა ოქროს ლანგარი მოვიპარე, ნატეხებად ვაქციე და გავყიდე. ახლა კი მიმძიმს ამ ამბის გახსენება და ქალიშვილისათვის გამხელა. მე ხომ მას ვასწავლიდი, სხვის სუფრაზე ნამცეცებისთვისაც კი არ ეხლო ხელი.

—-გრაფინიამ თავისი მოსამსახურეებიდან თუ დასაჯა ვინმე ამის გამო? --- იკითხა უცნობმა.

— გეფიცებით, ბატონო, არავინ, — მიუგო მოხუცმა და ატირდა. — რა ვიცოდი, თუ ჩემს მარტას ოქროც არ უშველიდა, თორემ როგორ მოვიპარავდი!

— თქვენი სახელი? — ჰკითხა უცნობმა.

— იოჰან მეიერი, ბატონო.

— მაშ ასე, იოჰან მეიერ, — უთხრა უცნობმა და ხელისგული თვალებზე დაადო, — თქვენ ადამიანების წინაშე ბრალი არ მიგიძღვით. რაც ჩაიდინეთ, არც ცოდვად ით-

ვლება და არც ქურდობად. პირიქით, ეს შეიძლება სიყვარულის გამო ჩადენილ გმირობად ჩავეთვალოთ.

— ამინ! — წაიჩურჩულა მოხუცმა.

— ამინ! — გაიმეორა უცნობმა.— ახლა კი გამანდეთ თქვენი სურვილი.

მე მინდა, ვინმემ მარიაზეც იზრუნოს.

— შეგისრულებთ მაგ წადილს! კიდევ ხომ არაფერს ისურვებდით?

— კიდევ?.. — მომაკვდავმა მოულოდნელად გაიღიმა და ხმამაღლა თქვა: — ნეტავ ერთხელ კიდევ დამანახა მარტა ისეთი ახალგაზრდა, როგორიც ჩემი ჭაბუკობისას იყო. მზე და გაზაფხულზე აყვავებული ის ძველი ბაღიც მანახა... მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია, ჩემო ბატონო. ნუ გამიწყრებით ასეთი სულელური სურვილებისათვის. როგორც ვატყობ, ავადმყოფობამ სულ ამიბნია თავგზა.

— კარგი, — უთხრა უცნობმა და წამოდგა. — კარგი, — გაიმეორა კვლავ, კლავესინთან მივიდა და სკამზე ჩამოჯდა. — კარგი! — ეს უკვე მესამედ და ხმამაღლა თქვა მან. მოულოდნელად ჯიხურში სწრაფი რაკრაკი გაისმა, თითქოს იატაკზე ასობით ბროლის ბურთულა მოაბნიესო.

— გესმით? — უთხრა უცნობმა, — უსმინეთ და დაინახეთ... — მან დაკვრა დაიწყო. შემდეგ მარია ხშირად იგონებდა უცნობის სახეს: როცა პირველი კლავიში ააჟღერა, მის შუბლს უჩვეულო სიყვითლემ გადაჰკრა, თვალები ჩაუმუქდა და შიგ სინათლის სხივი აუკიაფდა.

კლავესინი წლობით დუმილის შემდეგ პირველად ამღერდა მთელი ძალით... იგი ახლა ჯადოსნური ბგერებით ავსებდა ჯიხურს და მთელ ბაღს. ბებერი ქოფაკიც კი გამოძვრა ჯიხურიდან, თავი გადახარა, ყურები დაცქვიტა და კუდის ქიცინს მოჰყვა. თოვა დაიწყო, ქოფაკი მაინც არ ინძრეოდა, იდგა და კუდს აქიცინებდა.

— ვხედავ, ბატონო! — უთხრა მოხუცმა უცნობს და საწოლიდან წამოიწია. — ვხედავ იმ დღეს, როცა მარტას შევხვდი. მან მაშინ სიმორცხვისაგან რძით სავსე ქილა გატეხა. ეს ამბავი ზამთარში მოხდა, მთაში. ცა ლურჯ მინასავით გამჭვირვალე იყო და მარტა იცინოდა, იცინოდა. გაიმეორა მოხუცმა თან სიმების წკრიალს მიუგდო ყური.

უცნობი უკრავდა და ჩაბნელებულ ფანჯარაში იცქირებოდა.

— ახლა? ახლა თუ ხედავთ რამეს? — ჰკითხა მან.

მოხუცი დუმდა. ყურს უგდებდა.

— ნუთუ ვერ ხედავთ? — გაუმეორა უცნობმა. — ბნელი ღამე ჯერ ლურჯმა შესცვალა, შემდეგ ცისფერმა, და უკვე თბილი სინათლე იღვრება სადღაც ზემოდან. თქვენი ხეების ბებერ შტოებზე თეთრი ყვავილები იფურჩქნებიან. ეს ვაშლის ყვავილები უნდა იყოს, თუმცა აქ ოთახიდან ტიტებს უფრო მოჰგავანან. თქვენ ხედავთ: პირველი სხივი დაეცა, გაათბო და ორთქლი აადინა. ცა სულ მაღლა იწევს, უფრო და უფრო ლურჯდება და ლამაზდება, ფრინველთა გუნდი კი ჩრდილოეთისაკენ მიწიაქებს.

— ვხედავ, ყველაფერს ვხედავ! — წამოიძახა მოხუცმა.

პედალმა ჩუმად ჩაიხმაურა და კლავესინი საზეიმოდ აჟღერდა, თითქოს არა ერთი, არამედ ათასობით მოზეიმე ხმა ამღერებულიყოს.

— არა, ბატონო, — უთხრა მარიამ უცნობს, — სულაც არ ჰგვანან ტიტას. ეს ვაშლის ყვავილებია, ერთ ღამეში გაშლილან.

— მართალია, — მიუგო უცნობმა, — ვაშლის ყვავილებია, მაგრამ დიდი ფოთლები აქვთ.

— მარია, გააღე ფანჯარა, — სთხოვა მოხუცმა.

მარიამ ფანჯარა გააღო, ოთახში ცივი ჰაერი შემოიჭრა.

უცნობი ძალიან ხმადაბლა, ნელა უკრავდა.

მოხუცი ბალიშზე დავარდა, ხარბად სუნთქავდა და ხელებში სა-



ბანს ბუბნიდა. მარია მივარდა. უცნობმა დაკვრა შეწყვიტა. იგი უძრავად იჯდა კლავესინთან, მუსიკით მოჯადოებული.

მარიამ დაიყვირა. უცნობი ადგა და საწოლთან მივიდა. მოხუცმა სულმოუთქმელად თქვა:

— მე... ყველაფერი ისე ცხადად დავინახე, როგორც მაშინ, ამდენი წლის წინათ... მაგრამ ისე არ მინდა მოვკვდე, რომ... არ შევიტყო სახელი, თქვენი სახელი!

— მე ვოლფგანგ ამადეი მოცარტი ვარ, — მიუგო უცნობმა.

მარია საწოლს მოშორდა და დიდი მუსიკოსის წინაშე მდაბლად, თითქმის მიწამდე დახარა თავი. წელში რომ გაიმართა, მოხუცი უკვე მკვდარი იყო. ფანჯრებს იქით განთიადი ელვარდა და მის სინათლეზე სველი თოვლის ყვავილებით დახუნძლული ქათქათა ბაღი გამოჩნდა.

**თარგმნა მარიამ ჭავჭანიძემ**





# აისი

**ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი**

**6 №**

## მიზეზი ისევ ჩვენშია

იქნებ გაგიკვირდეთ კიდეც, მაგრამ ჩვენი რაზმეულის პიონერულ მუშაობაში ყველაზე დიდი ხალისით მონაწილეობენ... მეოთხეკლასელები — ჩვენს რიგებში ახლახან შემოსული ახალბედა პიონერები. მათ ვერაფერს დაასწრებ. ამის გამო განსაკუთრებით მათი კლასების დამრიგებლებს ვემადლიერებით — ეს მათ მოგვიმზადეს პატარები ასე კარგად პიონერული მუშაობისათვის. დიახ, მხოლოდ მათ, რადგან, სამწუხაროდ, ოქტომბრელთა ჯგუფებზე მიმაგრებულ პიონერებს აქტიურობით ძნელად გამოარჩევთ. თუმცა სანიმუშოები მათ შორისაც გვყავს, მაგალითად, მეშვიდეკლასელები ნანა ჩანტლაძე და ხათუნა ეზიაშვილი.

ამ ცოტა ხნის წინათ ერთი სწავლაში ჩამორჩენილი ბიჭი დავასაქმეთ. ძალიან დაინტერესდა პიონერული მუშაობით, თუმცა აქამდე მსგავსიც არაფერი ჰქონია გაკეთებული. სწავლაშიც წამოიწია — ორები გამოასწორა, ოთხიანების მიღებაც დაიწყო.

მაგრამ... ჩვენ ერთი რამ გვაღელვებს. ჩვენს სკოლაში ბავშვებიც და ხშირად მასწავლებლებიცა და მშობლებიც თვლიან, რომ პიონერული მუშაობა ბავშვს სწავლაში ჩამოარჩენს. ეს მცდარი აზრია. ვფიქრობთ, მთავარია, არც ერთი წუთი უქმად არ დაკარგო, დრო მაქსიმალურად გამოიყენო. ამ საერთო აზრის გამო პიონერულ მუშაობაში პასიურობს ფრიადოსანთა დიდი ნაწილი. ამიტომ ბუნებრივია, რომ რაზმების პიონერულ დავალებათა შესრულება ისევ თითო-ოროლა აქტივისტ პიონერს უწევს.

დანაშაულად მიგვაჩნია სწავლისა და პიონერული მუშაობის ამგვარი დაპირისპირება, ამით ხომ საზოგადოებრივი საქმიანობის, ამ საქმიანობით დაინტერესებული პიონერების და, რაც მთავარია, პიონერული რაზმეულის ავტორიტეტიც ეცემა?!

ჩვენ კი არ გვინდა, რომ დედაქალაქის ასეთი დიდი და უძველესი სკოლის პიონერულ რაზმეულს მსგავსი პრობლემები ჰქონდეს, მით უფრო, რომ იგი ალექსანდრე მატროსოვის სახელს ატარებს.

**ლალი ჯავახიშვილი,**
**თბილისი, მე-10 სკოლის**
**რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე,**
**ხათუნა ნაფეტვარიძე,**
**რუსუდან ჭოხონელიძე,**
**რაზმეულის საბჭოს წევრები.**

## ჭეშმარიტად საინტერესო

როგორია ნამდვილი პიონერი?

— როგორია და — სანიმუშო სწავლასა და ყოფაქცევაში და აუცილებლად აქტიური საზოგადოებრივ საქმიანობაში, — ასე პასუხობენ დასმულ კითხვას 166-ე საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელები ლალი გოგიჩაშვილი და ნონა ლეონიძე.

— ჩვენს სკოლაში, — განაგრძობენ ისინი, — ბევრია პიონერი, რომლებიც ინიციატივითა და ენთუზიაზმით გამოირჩევიან. ყოველი დავალება საინტერესო და მიმზიდველი უნდა იყოს, რათა ყოველ მოსწავლეს აღუძრას მასში მონაწილეობის სურვილი. ამ ინტერესმა უნდა გააკეთებინოს მოზარდს დავალებული საქმე მთელი სულითა და გულით, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, გამოამჟღავნებინოს მას თავისი ნიჭი და ცოდნა.

ნინო ლაბაძის, ლია ქადაგიძისა და

მაია ნაცვლიშვილის კლასში თითქმის ყველა მოსწავლე აქტიურია. ბიჭები — ლაშა ხვიჩია, ლაშა ფრანგიშვილი, ირაკლი მარგველაშვილი — კედლის გაზეთის მომზადებაში მონაწილეობენ, წერენ წერილებს, ხატავენ ილუსტრაციებს. დანარჩენები მათ სხვადასხვა ღონისძიების მოწყობასა და ჩატარებაში ეხმარებიან.

ყველას უყვარს ექსკურსიები, მუზეუმების, გამოფენების დათვალიერება.

მეოთხეკლასელების, ხათუნა მირუაშვილისა და ნინო მაისაშვილის აზრით, მათ კლასში საკმაოდ აქტიური პიონერები არიან, ისინი ხალისიანად მონაწილეობენ საკლასო და სასკოლო ღონისძიებებში.

აი, მეშვიდეკლასელების, ლია სარჯველაძისა და ნინო თეთრუაშვილის ნაამბობიდან კი ნათლად ჩანს, რომ მათ კლასში ინტერესი პიონერული საქმიანობისადმი აშკარად დაქვეითებულია. ბიჭები უკვე ყოყოჩობენ, მათ უფრო ვიდეოფილმებზე, მაგნიტოფონებსა და მოდურ ტანსაცმელზე საუბარი იზიდავთ. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ყმაწვილებს ძალიან მოსწონთ შრომის გაკვეთილები, საკუთარი მარჯვენით გაკეთებული ნივთები სიამოვნებას ანიჭებენ მათ. აქტიურად მონაწილეობენ ისინი სპორტულ შეჯიბრებაში, დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის მოვლაში.

შესაძლოა, მოსწავლეთა აქტიურობის შესუსტებაში მშობლებსაც მიუძღვით ბრალი. ზოგი მშობლის აზრით, შვილების სხვადასხვა წრეებზე ტარება უფრო საჭიროა, ვიდრე პიონერულ ღონისძიებაში მონაწილეობა.

არადა, ბევრი, ძალიან ბევრი საინტერესო რამ ხდება სკოლაში, უამრავი საქმეა საკეთებელი.

მთავარი მაინც ისაა, რომ გოგონები და ბიჭები მეგობრობენ, უყვართ, აფასებენ და პატივს სცემენ ერთმანეთს. ეს კი იმის საწინდარია, რომ ერთობლივი ძალებით ისინი უფრო აქტიურად ჩაებმებიან პიონერულ საქმიანობაში, თუკი იგი არა ფორმალური, არამედ ჭეშმარიტად საინტერესო, სახალისო და საქმიანი იქნება.

**ლალი გოგიჩაშვილი,**
**ნონა ლეონიძე,**
**თბილისი, 166-ე საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელები.**



**სვეტლანა ტკაცირია,**
**სამტრედია, კულაშის საშუალო სკოლა, VII კლასი.**

## წვლილი ყველას უნდა შეჰქონდეს

ჩემი აზრით, საზოგადოებრივი აქტიურობა ადამიანის ერთ-ერთი მთავარი თვისებაა. ყოველი ადამიანი მოვალეა, იყოს აქტიური და თავისი წვლილი შეიტანოს ამა თუ იმ საქმეში. განსაკუთრებით დაუშვებელია



„ბაჯაჭუნე"

**ნუციკო ფავლენიშვილი, 7 წლის.**



„ჯამბაზები"

**ბენადი მეტრეველი, 7 წლის.**

**თბილისი, 155-ე საშუალო სკოლა.**

პასიურობა და გულგრილი მზერა ახლა, როცა ჩვენს ქვეყანაში გარდაქმნის გრანდიოზული ამოცანები წყდება.

ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება საზოგადოებრივმა საქმიანობამ ხელი შეუშალოს მოსწავლეს სწავლაში! ამას, მე მგონი, მხოლოდ ისინი იმიზეზებენ, ვისაც უნდა მზამზარეული მიიღოს ყველაფერი, თვითონ კი არაფერი აკეთოს. ეს ხომ მუქთახორობაა და ერთგვარი პარაზიტიზმიც.

ჩვენ, დღევანდელ მოზარდ თაობას, უფლება არა გვაქვს უსაქმურობითა და სიზარმაცით ვპასუხობდეთ იმ საყოველთაო ზრუნვას, რომლითაც გარემოცულები ვართ.

**თამარ გუნჯუა,**
სოხუმი, მე-5 საშუალო სკოლა, VIII კლასი.

## გრძელი კანფეტები

ორი წელიწადია, რაც ლიტვის სოფელ რუდკიშკიაის რვაწლიანი სკოლის პიონერებთან ვმეგობრობთ. შარშან იმავე სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი ევგენია ბენდჟაიტიტე ერთი კვირა იმყოფებოდა ჩვენს სკოლაში (ჩვენი უფროსი პიონერხელმძღვანელის, მანანა შონიას მოწვევით). მან გაგვაცნო ლიტველთა ეროვნული ცეკვები და სიმღერები, ,ჩამოიტანა ლიტვის ღირსშესანიშნავი ადგილებისა და ლიტველი ხალხის წეს-ჩვეულებების ამსახველი სურათები. მათი დახმარებით შევადგინეთ ალბომი „ვსწავლობთ საბჭოთა ლიტვას“.

საახალწლოდ მეგობრებს ამანათი გავუგზავნეთ. ამანათში ჩურჩხელებიც იდო. მალე პასუხიც მივიღეთ: „დიდი მადლობა საინტერესო ამანათისათვის. მოგვწერეთ, რა ჰქვია იმ გრძელ კანფეტებს (თხილით) და როგორ აკეთებთ მას?“

ჩვენ მეგობრები აქეთ მოვიწვიეთ, რათა უფრო ახლოს გავეცნოთ ერთმანეთს. როცა ჩამოვლენ, „გრძელი კანფეტების“ — ჩვენებური ჩურჩხელას გაკეთებასაც ვასწავლით.

ივლისში კი ჩვენი რაზმეულის პიონერთა დელეგაცია რუდკიშკიელებს ეწვევა სტუმრად.

**როზეტა ფიფია,**
წალენჯიხა, მუჟავის საშუალო სკოლა, X კლასი.

## შეხვედრა ყრილობის დელეგატთან

ეწრის საშუალო სკოლის კომკავშირულმა და პიონერულმა აქტივმა შეხვედრა მოუწყო ეწრის საბავშვო სახლის აღსაზრდელს, საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის დელეგატს, მეცხრეკლასელ მზია თეთრუაშვილს.

პიონერების მისალმების შემდეგ მზიამ ყრილობაზე მიღებული შთაბეჭდილებები გაგვიზიარა, უპასუხა ჩვენს შეკითხვებს. შეხვედრის დასასრულს მესამეკლასელები პიონერთა ორგანიზაციის რიგებში მივიღეთ.

**ნინო შოვნაძე,**
სამტრედია, ეწრის საშ. სკოლა, მე-3 რაზმის საბჭოს თავმჯდომარე.

# ჩვენი შემოქმედება

## ობოლი ფინია

საცოდავად წკმუტუნებს
ეს ობოლი ფინია,
რაც პატრონი დაკარგა,
წუთით არ უძინია.

დაცუნცულებს ნელა,
თვალში უმზერს ყველას,
წელან ხელზე ამისვა
ვარდისფერი ენა.

მოისვენე, ფინიავ,
ნუღარ ეძებ პატრონს,
მე მოგეფერები და
არ დაგტოვებ მარტო.

**გელა ქოგალია,**
ზუგდიდი, ახალსოფლის საშუალო სკოლა-ინტერნატი, VI კლასი.

## ოცნება გაზაფხულზე

ბუჩქის ძირებში გაზაფხული დაჯდება იად
და თავს დაიფრქვევს სურნელებას ახალ ვარდების,
მოვეფერები ლექსებით მზეს, უზომოდ დიადს,
და უნებურად ქართან ერთად ავხარხარდები.
აინთებიან ბროწეულის გაძარცვულ ტოტზე
ლამპიონებად ყვავილები, საოცრად წმინდა;
მომაგონდება: აქ ზამთარი მეფობდა ერთ დროს,
მომაგონდება გამყინავი წვეთებით წვიმა.
ბაღში ყვავილებს საცეკვაოდ გაიწვევს ქარი,
მათ მისალებად მზე გულის კარს დატოვებს ღიად,
იქნება ყლერა ათას ჰანგის — წყნარის და ჩქარის,
ბუჩქის ძირებში გაზაფხული დაჯდება იად.

**ნინო ჯიოშვილი,**
ატენის საშუალო სკოლა, VIII კლასი.



„შევრიგდეთ“, კახა თოდუა,
გეგეჭკორი, სოფ. ტალერი, 6 წლის.



# ალი

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი
№ 6

## სადღეგრძელო

დალოცვილიყოს თქვენი მარჯვენა,
არ მოგკლებოდეთ ბარაქა მიწის,
ეს გაუმარჯოს იმ გამრჯე გლეხკაცს,
რომელიც მიწას შეეკრა ფიცით.
ეს გაუმარჯოს იმ პურის ყანას,
ოქროთავთავას, ოქრომარცვლიანს,
ციურ ნამთან და წვიმასთან ერთად
გლეხის ოფლიც რომ უხვად დასხმია.
ეს გაუმარჯოს მწვანე მდელოებს
და მობალახე ცხვრებსა და ხარებს,
ეს გაუმარჯოს ჯანსაღ სოფელს და
ძროხის ჯიქანთან ჩაცუცქულ ქალებს.
ეს გაუმარჯოს ამაყად მქროლავ
გრილ ნიავსა და ანკარა წყაროს,
ტოტზე შემჯდარი ბულბულის სტვენას,
სმენა რომ ტკბება, გული რომ ხარობს.
ეს გაუმარჯოს თეთრ, ქულა ღრუბლებს
და მთაში ყვირილს ქორბუდა ირმის.
ეს გაუმარჯოს იმ კაცის ვენახს,
ვაზის ტირილზე თავად რომ ტირის.

სოსო კერესელიძე,
თბილისი, 31-ე საშუალო
სკოლა, X კლასი.

## დ ე დ ა

მე ასაკით დიდი არა ვარ, მაგრამ საფიქრალი კი კარგა ხანია გამიჩნდა, მას შემდეგ, რაც მივხვდი, რომ მამა აღარასდროს შემოაღებდა სახლის კარს. ძნელი ყოფილა ობლობა... ჩვენ სამი ძმა ვართ. უფროსი მე ვარ, 12 წლისა. მამა რომ მომიკვდა, დედა 23 წლისა ყოფილა, მე — სამი წლისა, უმცროსი ძმა კი მამის დასაფლავების წინა დღეს დაბადებულა. სახლი ერთი წლის დადგმული და მოუმთავრებელი ყოფილა. რა თქმა უნდა, გაგვიჭირდა და ახლობლებს უთქვამთ უმცროს ძმაზე, გავაშვილოთ, მარტოხელა ქალი როგორ გაზრდის სამ ბავშვსო, მაგრამ დედას უთქვამს, მე პატარა ლეო მამამისის სახელზე უნდა გავზარდოო. მამას ლეო ერქვა. ხშირად მესმის ხოლმე ჩემი და ჩემი ძმების მისამართით ნათქვამი — ამათ დედა ქორივით დასტრიალებს თავსო, და გული სიხარულით მევსება. მართლაც ასეა. მე ვცდილობ, ყველაფერში მხარში ვუდგე დედას, ვეხმარები, პატარა ლეოსაც თავზე ვევლები. დედა არასდროს არ გვაგრძნობინებს უმამობას, ცდილობს ცრემლი არ დაგვანახოს, მაშინაც კი, როცა გვიჭირს. ჩვენ ძალიან გვიყვარს დედა. ოთახში მამის სურათი გვაქვს გაკრული, ვუცქერ ხოლმე მას და ვფიქრობ: რა კარგი მამა მყავდა, როგორ მინდა მასავით კარგი ვიყო. დედა ყოველ საღამოს გვიყვება მამაზე და ჩვენ ერთნაირად გვიყვარს დედა და მამა.

ვლადიმერ გაგუა,
სამტრედია, რკინიგზის 24-ე
საშ. სკოლა, VI კლასი.



## დილა

უგალობენ ჩიტუნები
გაზაფხულის დილას,
ია-ვარდის სურნელება
ასდის ფრთამალ ნიავს.
როგორ შვენის თეთრი ქაბა
ჩვენი ბაღის ტყემალს!
არემარე მიმოზების
სილამაზის ტყვეა.
მწვანე ხეთა ხეივანი
იზმორება ტკბილად,
აგვამღერა პატარებიც
ამ მზიანმა დილამ.

თამარ კუპრაშვილი,
თბილისი, 166-ე საშუალო
სკოლა, IX კლასი.

მე ყველაფერი
უსასრულოდ
მეჩვენებოდა...
თურმე — ამაოდ:
ჩემმა ბავშვობამ
ერთხელ კიდევ
შემავლო თვალი
და სამუდამოდ
აიკრიფა
გუდა-ნაბადი.

ნინო ტარუაშვილი,
თბილისი, 167-ე საშუალო
სკოლა, IX კლასი.

## წყალწითელას ხეობაში

მიწა ჩუმად ფაჩუნობს,
გული უცემს ხეობას,
წყალწითელა ზეიმობს
გაზაფხულის დღეობას...
მთები აღმართულები
მწვანე ხელებს იწვდიან,
ჭირი გვქონდა თუ ლხინი,
წყალწითელამ იწვნია...
წითლადაც შეღებილა,
სისხლით შეზავებულა,
ბევრჯერ დამშვიდებულა,
ბევრჯერ გააფთრებულა...
მთები მწვანედ ელავენ,
ცაზე სუფევს მზეობა,
ლამაზ ზღაპარს მაგონებს
წყალწითელას ხეობა...

## სამშობლოს

მხოლოდ შენკენ მოდიან
ბილიკები საცალო.
სიყვარული მასწავლე,
ახლა უნდა მაცალო!..
დამიგროვდა სათქმელი,
მინდა თასი დავცალო.
შენ მე ფრენა მასწავლე,
ახლა უნდა მაცალო!..
მინდა ყველა სიმდიდრე
მზის ერთ სხივში გავცვალო.
შენ მე ხედვა მასწავლე,
ახლა უნდა მაცალო!..
მინდა ყველა მწუხრვალი
ზეცის ნამით დავცვარო.
შენ სიკეთე მასწავლე,
ახლა უნდა მაცალო!..
შეგიძლია წაიღო,
ყველაფრისგან დამცალო,
ოღონდ ვალის გადახდა,
მაინც უნდა მაცალო!..

ლელა ჯიჯაშვილი,
თბილისი, 169-ე საშუალო
სკოლა, X კლასი.

# სამშობლოს ნორჩი გმირები



# ლიონია გოლიკოვი

1942 წლის 13 აგვისტო თენდება. გზატკეცილის პირას ჩასაფრებულ მზვერავებს მეთაურმა უკან დახევის ნიშანი მისცა. ლიონია ოდნავ შეყოვნდა. ის იყო, მოემზადა წასასვლელად, რომ გზაზე მსუბუქი ავტომანქანა გამოჩნდა. იგი' სწრაფად ახლოვდებოდა. ბიჭი მებრძოლების გაფრთხილებას ველარ მოასწრებდა. ქვების გროვას ამოეფარა, ღელვისაგან გული მკერდში არ ეტეოდა. აი, მანქანაც გაუსწორდა. ლიონიამ ხელყუმბარა სტყორცნა. მანქანაში მყოფი ერთი ფაშისტი იქვე გარდაიცვალა, ხოლო მეორე, თეთრკიტელიანი მაღალი კაცი, გენერლის მოოქროვილი სამხრეები რომ ეკეთა, გაიქცა. ერთ კილომეტრზე მეტი სდია ლიონიამ ფაშისტს. იგი სროლით გარბოდა ტყისკენ, ლიონიაც სროლით მისდევდა. ოფიცერი ტყეს მიუახლოვდა. „თუ ტყეში შემასწრო, მორჩა!“ — გაიფიქრა ლიონიამ.

შეჩერდა, ჩაიჩოქა, გულდაგულ დაუმიზნა და ესროლა. გენერალმა წაიბორძიკა და დაეცა...

პარტიზანულ ბანაკში დაბრუნებულ ლიონიას გენერლის სამხრეებიანი კიტელი ეცვა, ხელში კი მისივე პორტფელი ეჭირა.

ნორჩი მზვერავი პარტიზანული რაზმის შტაბის უფროსმა ტ. პეტროვმა გამოიძახა.

— საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორი რ. ვირტუ მოგიკლავს. მის პორტფელში უმნიშვნელოვანესი საბუთები აღმოჩნდა. ყოჩაღ! — შტაბის უფროსმა მკერდში ჩაიკრა მარჯვე ბიჭუნა.

ლიონია გოლიკოვი იმ დღიდან გაათკეცებული ენერგიით და თავდადებით უტევდა მტერს, მრავალ ბრძოლაშიც ისახელა თავი.

საბედისწერო აღმოჩნდა ლიონიასათვის 1943 წლის 24 იანვარი, იგი გმირულად დაეცა უთანასწორო ბრძოლაში. წარბიც არ შეუხრია, როცა შტაბთან ერთად გარემოცვაში მოხვდა. უკანასკნელ ტყვიამდე ისროდა, რომ რაზმის დოკუმენტები ფაშისტებს არ ჩავარდნოდათ ხელში.

გმირი პიონერის მიერ განვლილ სახელოვან საბრძოლო გზაზე ნათლად მეტყველებს მისი პარტიზანული დოკუმენტები: მონაწილეობდა 27 ოპერაციაში, გაანადგურა 78 ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი, ააფეთქა ორი სარკინიგზო და 12 საგზატკეცილო ხიდი, 10 საბრძოლო საჭურვლით დატვირთული ავტომანქანა და 2 საწყობი. გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით, მედლით „მამაცობისათვის“, გმირის ოქროს ვარსკვლავით.

ნოვგოროდის მახლობლად, სოფელ ოსტრაია ლუკაში, გმირი პიონერის საფლავზე აღმართულია ობელისკი. ნოვგოროდსა და ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვშიც დგას საბჭოთა კავშირის ნორჩი გმირის, ლიონია გოლიკოვის ძეგლი.



პიონერული აქტივის კლუბი

## მეგობრობა სამ ათეულ წელს ითვლის

თბილისის ოქტომბრის რაიონის პიონერთა შტაბის თავმჯდომარე ნინო ძიძიკაშვილი, შტაბის წევრები: ნანა დანელიანი, მაია ენუქიძე, ფატიმა მელაძე, გიორგი ზაქარეიშვილი... ეს ის თაობაა, რომლებმაც მოსკოვის ტუშინოს რაიონის, მესტიის და თბილისის ოქტომბრის რაიონის ცნობილი მეგობრობის ესტაფეტა ჩაიბარეს.

აი, რა გვიამბო თბილისის ოქტომბრის რაიონის პიონერთა შტაბის თავმჯდომარემ ნინო ძიძიკაშვილმა:

— ეს მეგობრობა სამ ათეულ წელს ითვლის; ამ ხნის მანძილზე მეგობრობის ამ „სამკუთხედმა“ მრავალი საინტერესო ფურცელი ჩაწერა ქართველი და რუსი პიონერების ურთიერთობის ისტორიაში.

შარშან ტუშინოელები იყვნენ თბილისში; შემდეგ თბილისელებს უმასპინძლა მოსკოვის ტუშინოს რაიონის 818-ე სკოლამ.

ტუშინოელები მოწიწებით ინახავენ და უფრთხილდებიან ყველა მასალას, რაც მესტიის, ტუშინოსა და თბილისის ოქტომბრის რაიონის პიონერთა ურთიერთობას ეხება. მასპინძლებმა დედაქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები შემოგვატარეს. ერთად ვიყავით. ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში, ვინახულეთ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, დავათვალიერეთ კოსმონავტიკის პავილიონი, შევხვდით მოსკოვის პიონერთა სასახლის აქტივისტებს, პიონერთა შტაბის წევრებს.

ბავშვებისათვის ჩვენი ქვეყნის უდიდეს ზრუნვა ვიგრძენით მოსკოვის პიონერთა სასახლეში, რომელიც ლენინის გორაზე, 48 ჰექტარზეა გადაჭიმული. აქ 960 წრესა და 180 სხვადასხვა კლუბში, 80 კაბინეტსა და 400 სახელოსნო-ლაბორატორიაში ათასობით მოსკოველი პიონერი ეუფლება საინტერესო საქმეს. გვაჩვენეს სასახლის კუთვნილი სტადიონი, საცურაო აუზი, საკონცერტო დარბაზი 1000 ადგილით, პიონერული თეატრი. ლექტორიუმი პლანეტარიუმ-ობსერვატორიით. ძალიან მოგვეწონა ზამთრისა და ბოტანიკური ბაღები...

# ახალი ფილმები

# ნიკა ჭიჭის ექვსი დღე

ამ ახალ ქართულ ფილმს „ექვსი თოვლიანი დღე“ ჰქვია.

სცენარის ავტორი ავთანდილ ჩხიკვიშვილი, დამდგმელი რეჟისორი იური კვაჭაძე, დამდგმელი ოპერატორი გურამ შენგელაია, დამდგმელი მხატვარი ზაურ კვარაცხელია, კომპოზიტორი იოსებ ბარდანაშვილი, ხმის ოპერატორი თამაზ მჭედლიძე — ასეთია ფილმის შემქმნელი შემოქმედებითი ჯგუფის შემადგენლობა.

თამარ სხირტლაძე, სოსო ჯაჭვლიანი, გუჯა ბურდული, ლეო ფილფანი, ვაჟა ფირცხალაიშვილი, ეკა ქუთათელაძე, დავით ჩუბინიშვილი — ეს კი ის მსახიობები არიან, რომლებმაც ხორცი შეასხეს სცენარისტისა და რეჟისორის ჩანაფიქრს. ამ სიაში არ დაგვისახელებია მთავარი გმირის — ნიკას შემსრულებლის გვარი, იმიტომ, რომ თუმცა ნუგზარ გოგოძე უკვე მეორე ფილმში მონაწილეობს, მსახიობი არ გახლავთ — იგი თბილისის 55-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეა. მის მიერ განსახიერებული ნიკა ერთი თქვენი თანატოლთაგანია და ალბათ ბევრი ბიჭი მასში საკუთარ თავსაც იცნობს.

ზამთრის არდადეგებზე მამამ ნიკა მთის სოფელში აიყვანა. ეს სოფელიც ერთ-ერთი ჩვეულებრივი მაღალმთიანი ქართული სოფელია თავისი შრომისმოყვარე და ჭირთამძლე ადამიანებით. ნიკას ჩასვლისთანავე ამბები იმგვარად წაეწყო, რომ იგი დროებით მარტო დატოვეს საქონლის ფერმაში. ეს დროებითი ყოფნა კი ექვს დღეს გაგრძელდა. პირველივე ღამეს ისეთი დიდი თოვლი მოვიდა, რომ ყველა გზა-ბილიკი გადაასწორა და მთის ფერმაც მოსწყვიტა სოფელს. ეს ექვსი დღე ნიკას თავისებური გამოცდის, მისი ადამიანად, ვაჟკაცად ჩამოყალიბების დღეებად იქცა. ბიჭი ჯერ არხეინადაა, რადგანაც იცის, რომ, სადაც არის, უფროსები ამოაკითხავენ. მოგვიანებით კი, როცა არავინ გამოჩნდა, შეფიქრიანდება, შეშინდება, ბრაზობს იმათზე, ვინც აქ მიატოვა. საკუთარი უმწეობა მცირე ხნით სასოსაც წარუკვეთავს... მაგრამ ბოლოს მაინც ვაჟკაცურად სძლევს სიცივესაც, შიმშილსაც, დაღლილობასაც, შიშსაც და საკუთარ თავთან ჭიდილში გამარჯვებული გამოდის.



მ. გელაშვილი

---

მასპინძლებმა გაგვაცნეს ტექნიკის, ბიოლოგიის, ტურიზმის და მხარეთმცოდნეობის, ასტრონომიისა და კოსმონავტიკის, სხვა კაბინეტების მუშაობა. მონაწილეობა მივიღეთ სასახლეში გამართულ პიონერულ დისკოთეკაში.

მოსკოვის პიონერთა სასახლეში ბევრ კარგ ტრადიციას ჩაყრია საფუძველი. მაგალითად, ნორჩი გმირი ანტიფაშისტის დღის აღნიშვნას თურმე აქ მიეცა დასაბამი. აქვე მოუფიქრებიათ სამხედრო-სპორტული თამაში „ცისკარი“; აქ წამოუწყიათ ოპერაცია „სსრ კავშირის პიონერები — ვიეტნამს“, შრომითი ოპერაცია „ჩუკოტკა“; სასახლის თაოსნობითვე დაიწყო თურმე ლითონის ნამსხვრევების შეგროვება ბამის მშენებლობისათვის, მომჰირნეთა საკავშირო ლაშქრობა, ოპერაცია „მდინარეებს — სუფთა წყალი“, საძიებო მუშაობა „პიონერული დიდება“; გარდა ამისა, აქ, ამ სასახლეში დაწყებულა ბევრი სახელოვანი ადამიანის გზა, რომლებიც დღესაც აკითხავენ სასახლეს, მეგობრობენ მის აქტივისტებთან.

მოგვეწონა და ჩამოსვლისთანავე შტაბის სხდომაზე ჩვენი რაიონის ოქტომბრელებთან მეგობრობის საბჭოების ხელმძღვანელებს გავაცანით მოსკოველი პიონერების საინტერესო მუშაობა ოქტომბრელებთან — თუ როგორ ეხმარებიან მათ თამაშ-მოგზაურობაში „ოქტომბრელები — ოქტომბრის ქვეყანაში“. ეს თამაში მოსკოვის სკოლებში სამ ეტაპად მიმდინარეობს. მოსკოვის მისადგომებთან საბჭოთა ჯარების კონტრშეტევის 45 წლისთავზე მოსკოველმა ოქტომბრელებმა იმოგზაურეს „ჯარისკაცური დიდების გზით“...

ნორჩები დიდ დროს უთმობენ მშობლიურ მხარეში მოგზაურობას. მარშრუტი „პიონერული“ მათ ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის 65 წლისთავს მიუძღვნეს. ოქტომბრელები უკვე ეცნობიან მოსკოვში პირველი პიონერული რაზმების შექმნის ადგილებს, ხვდებიან იმ რაზმების ყოფილ წევრებს, დღეს რომ ვეტერანთა რიგებში ითვლებიან.

— მალე შეხვედრამდე! — ასე დავთქვით ტუშინოელ პიონერებთან.

მოსკოვის 818-ე სკოლიდან უკვე მივიღეთ ჟანა პატკინას, ელენა კშიკოვას, საშა კარასიოვის, ანდრეი ბაბაევის ბარათები. ამ ზაფხულს ჩვენთან ველოდებით ტუშინოელებს.

30 წლის წინათ დაწყებული მეგობრობა გრძელდება.

# ბეისბოლი

## გაბრიელ გარჯაძე

თუ ადრე ყურმოკვრით გაგვეგონა სიტყვა „ბეისბოლი", დღეს სულ უფრო ხშირად გვესმის ლაპარაკი სპორტის ამ სახეობის შესახებ.

1986 წელს სსრ კავშირის ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სპორტის ოფიციალურ სახეობად აღიარა ბეისბოლი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ლოზანის სესიაზე ბეისბოლი 1992 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანეს.

ბეისბოლის თამაშს ადრეული ასაკიდან იწყებენ და ხანდაზმულობაშიც დიდი ხალისით ეტანებიან.







ბეისბოლი ჯერ კიდევ 1330 წელს ჩაისახა ინგლისში. მას შექსპირიც იცნობდა. 1770 წელს ეს თამაში ჩრდილო ამერიკაში გავრცელდა. მისი წესები 1839 წელს დაამტკიცეს და საბოლოო ფორმაც ამ დროს მიიღო. დიდი ხნის განმავლობაში იგი წმინდა ამერიკულ თამაშად რჩებოდა. მაგრამ მალე ფართოდ მოიკიდა ფეხი სხვა კონტინენტებზედაც.

1901 წლიდან აშშ-ის პროფესიული გუნდები ჩემპიონობისათვის ორ ლიგაში — ეროვნულსა და ამერიკულ ლიგაში იბრძვიან. თითოეული ლიგის გამარჯვებულთა შორის ეწყობა საგანგებო მატჩი „მსოფლიო სერია", რომელიც ყოველი ამერიკელის ცხოვრებაში დიდი მოვლენაა.



16 ქვეყანაში ეს თამაში სპორტის ყველაზე მასობრივ და პოპულარულ სახეობად ითვლება, 6 ქვეყანა კი მას სპორტის ეროვნულ სახეობად მიიჩნევს. ამერიკის კონტინენტზე ბეისბოლს 27 ქვეყნის 20 მილიონზე მეტი სპორტსმენი თამაშობს. ამ ქვეყნებში პოპულარულია, აგრეთვე, ბეისბოლის გაიოლებული ვარიანტი ქალებისათვის და ჭაბუკებისათვის. მას სოფტბოლს უწოდებენ. სოფტბოლი ჩრდილო, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის 28 ქვეყანაშია დანერგილი და ქალთა შორის სპორტის ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი სახეობაა.

ბეისბოლსა და სოფტბოლს აზიისა და ოკეანიის 20 ქვეყანაში თამაშობენ. ავსტრალიის, იაპონიისა და ახალი ზელანდიის გუნდებს თითო მსოფლიო ჩემპიონატი აქვთ მოგებული, სამხრეთ კორეის ვაჟთა გუნდი კი მსოფლიო ჩემპიონი გახდა 1982 წელს.

ქალთა 6 მსოფლიო ჩემპიონატში აშშ-ს ბეისბოლისტებმა გამარჯვება მოიპოვეს სამჯერ.

ახლა რამდენიმე სიტყვა თვით თამაშის შესახებ.

ბეისბოლისტთა გუნდში 9 მოთამაშეა, 6 — ცენტრალური და 3 — მინდვრისა. სათამაშო მოედნის საფარი წიდოვანია. მოედნის ზომებია 175×125მ. ცენტრალურ ნაწილში მოთავსებულია ბეისბოლის კვადრატი, მისი სიგრძე 27,45 მეტრია (ჭაბუკებისათვის — 25). კვადრატის შუაში მდებარეობს „ბაზა" — რეზინის ბურთის სატყორცნი. სწორედ მათგან წარმოდგა თამაშის სახელიც — „ბეის"

ეროვნული ბიბლიოთეკა



(ბაზა) და „ბოლი“ (ბურთი). ბურთის მტყორცნელსა და ბურთის დამჭერს ცალ ხელზე აცვიათ სქელი ტყავის ხელთათმანი, იკეთებენ წვივსაცავებსა და სახის დამცავ ჩაფხუტებს. დანარჩენ მოთამაშეებს (3 ბაზისა და 3 მინდვრის) აცვიათ სპორტული ფეხსაცმელი, გეტრები, სპორტული შარვალი, მაისურები, წელზე შემორტყმული აქვთ ქამარი და ახურავთ კეპი.

ბეისბოლის სათამაშო ტაფელის სიგრძე 106,7 სმ-ია, ტაფელის დასარტყმელი თავის გარშემოწერილობა — 6,98 სმ. ბეისბოლის ბურთს აქვს ორმაგი ტყავის კამერა, დაფარულია შალის ქსოვილით და გარედან ცხენის ტყავი აქვს შემოკრული. იგი 148 გრამს იწონის, ხოლო გარშემოწერილობა 23 სმ-ია.

ბეისბოლში სათამაშო დრო არ არის განსაზღვრული, უნდა გათამაშდეს 9 ტაიმი (ინინგი), რომელთა დროსაც გუნდები ერთმანეთს ცვლიან მოედანზე.

ბურთი თამაშში შეაქვს ბაზის ცენტრში მყოფ მოთამაშეს — მტყორცნელს (რომელსაც № 1 მაისური აცვია და „პიჩერს“ უწოდებენ). ბურთს იგი ხელით ტყორცნის თანაგუნდელი დამჭერისაკენ („ქეჩერი“, № 2).

თამაშის დასაწყისში № 2 მოთამაშის სიახლოვეს მეტოქე გუნდის ერთი მომგერიებელია („ბეთერი“). მისი ამოცანაა, ტირიფის ხისგან დამზადებული ტაფელით რაც შეიძლება შორს გადააგდოს ბურთი, რათა მინდვრის მოთამაშეებმა იგი ვერ დაიჭირონ. თუ მომგერიებელმა ბურთი გადააგდო, ამის შემდეგ ტაფელსაც გადააგდებს და გარბის პირველი ბაზისაკენ, სადაც მანამ უნდა მოასწროს მისვლა, სანამ იქ ბურთს მიიტანენ (ან ტყორცნიან). ვთქვათ, მომგერიებელმა დაიკავა ადგილი მეტოქის „ბანაკში“. მაშინ ყველაფერი თავიდან იწყება, ოღონდ ახლა უკვე მეორე მომგერიებელი მოთამაშე ცდილობს, წაართვას ბურთი დამჭერს. ბაზებზე ერთდროულად შეიძლება შევიდეს 4 მოთამაშე. მათი საბოლოო მიზანია, შემოურბინონ სამივე ბაზას და დაბრუნდნენ მეოთხე, ძირითად ბაზაში (იქ, საიდანაც გამოიქცნენ). ეს გუნდს ერთ ქულას („რანს“) აძლევს. გუნდი, რომელიც ცხრა ტაიმის განმავლობაში მეტ ქულას დააგროვებს, გამარჯვებულად გამოცხადდება.

სათადარიგო მოთამაშეებს შეუძლიათ ნებისმიერ წუთს ჩაებან ბრძოლაში. გაძევებულს მინდორზე დაბრუნების უფლება არა აქვს.

თავდამსხმელი მოთამაშე გადის თამაშიდან, თუ იგი ბურთს ტყორცნის ურიგოდ ან ბაზის ფარგლებს გარეთ; თუ ერთი წუთის განმავლობაში არ იქნება ბაზაზე, საიდანაც უნდა დაარტყას ბურთი; თუ ხელს უშლის ბურთის მიმღებ მოთამაშეს ან მხრით და ფეხით იგერიებს ბურთს.

ბუნებრივია, დაცვაში მყოფი მოთამაშეები ცდილობენ ხელი შეუშალონ მომგერიებელს ქულის აღებაში (დაშვებულია ძალისმიერი ილეთებიც).

მინდვრის მოთამაშეები ცდილობენ ბურთი ჰაერში დაიჭირონ (ბეისბოლის ბურთი ზოგჯერ 150 კმ/სთ სიჩქარით მიფრინავს). თუ ეს შეძლეს, მომგერიებელი გადის მინდვრიდან.

რთულია № 1 მოთამაშის ფუნქცია: მან ისე უნდა ტყორცნოს ბურთი, რომ წინ ჩაუაროს მომგერიებელს (ოღონდ არა მუხლებზე დაბლა და მხრებზე მაღლა), თან ძირითად ბაზას გადაუფრინოს და მიუვიდეს დამჭერს.

მომგერიებელმა, რომელიც განსაზღვრულ მონაკვეთში დგას და წინ ან უკან ნაბიჯის გადადგმის უფლებაც კი არა აქვს, ისე უნდა მოარტყას ბურთს ტაფელი და გასტყორცნოს ცხრა მეტოქის იქით, რომ მისი დაჭერა ვერავინ შეძლოს. ამ დროს მინდვრის მოთამაშეები ცდილობენ, ბაზისაკენ ელვისებურად ტყორცნონ ბურთი.

ბეისბოლის თამაში საკმაოდ დიდხანს გრძელდება. მას ოთხი ან ექვსი მსაჯი ემსახურება.

ბეისბოლი (სოფტბოლი) დინამიკური სპორტული თამაშია. ამიტომ ბევრ ქვეყანაში მას საერთო ფიზიკური განვითარებისათვის იყენებენ. იგი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ამავე დროს, ბეისბოლი დაძაბული ბრძოლაა, ეს არის ნერვების გამოცდა, ძლიერი და მტკიცე ნებისყოფის ადამიანთა ქიდილი.

1986 წელს სსრ კავშირში ორჯერ ჩამოვიდა ბეისბოლის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი რობერტ სმიტი, რომელმაც მოიწონა საბჭოთა სპორტსმენების დაინტერესება სპორტის ამ სახეობით. მალე დაიბეჭდება ბეისბოლის წესები და მეთოდური ლიტერატურა, ჩატარდება სემინარები, სხვადასხვა შეჯიბრებები. სასიხარულოა, რომ ბეისბოლის მიმდევრები გამოჩნდნენ საქართველოშიც. კერძოდ, თბილისში უკვე არსებობს ბეისბოლის მოყვარულთა ჯგუფი. ჯერი ახალგაზრდებზე, ნორჩ სპორტსმენებზეა.

ჰა — ბურთი და ჰა — მოედანი!

არ. რუხაძის ფოტო



# შევისწავლოთ საგზაო ანბანი



განყოფილებას უძღვება საქ. სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახავტოინსპექციის სამმართველოს აგიტაცია-პროპაგანდის ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი თეიმურაზ ინასარიძე

## საგზაო ნიშნები

მაშ ასე — ვიწყებთ საგზაო ანბანის შესწავლას.

ყველაზე ძველი საგზაო ნიშანი კილომეტრების მაჩვენებელია. ეს ნიშანი გზაზე თითქმის სამასი წლის წინათ გაჩნდა. მის ცისფერ დაფაზე, რომელიც შავი და თეთრი ზოლებით მოხატულ ბოძკინტზეა დამაგრებული, ორივე მხარეს ციფრები აწერია. ერთი მხრიდან შეგიძლია წაიკითხო, თუ რამდენი კილომეტრი გაიარა ავტოტრასის დასაწყისიდან, ხოლო მეორე მხრიდან — რამდენი დარჩა ამ გზის დასასრულამდე

მოძრაობის გაზრდასთან ერთად გაჩნდა აუცილებლობა, შემოეტანათ სხვა საგზაო ნიშნები, რომლებიც უზრუნველყოფდა გზაზე სწრაფ გადაადგილებას უავარიოდ.

ჰოდა, დღეს ახლა ეს ნიშნები მსოფლიოს ყველა საავტომობილო გზაზე — ყველგან ერთნაირი, ერთი და იგივეს აღმნიშვნელი და, მაშასადამე, ყველა მძღოლისათვის გასაგები — საბჭოთა კავშირში თუ საბერძნეთში, იტალიასა თუ საფრანგეთში, ინდოეთსა



თუ ამერიკაში. მათ საერთაშორისო ნიშნებს უწოდებენ.

რა ნიშნებია ეს?

საერთოდ, 200-ზე მეტი საგზაო ნიშანი არსებობს. ისინი იყოფიან შვიდ სხვადასხვა ჯგუფად, თითოეული ჯგუფის ნიშნებს თავისი განსხვავებული გარეგნული ნიშანი აქვს.

სამკუთხა ყვითელ ან თეთრ ნიშნებს, რომლებსაც გარშემო წითელი ზოლი აქვთ, გამაფრთხილებელი ნიშნები ეწოდება. ისინი, როგორც დასახელებიდანაც ჩანს, აფრთხილებენ მძღოლებს, რა ელოდება მათ გზაზე. ერთი ნიშნით მძღოლი ხვდება, რომ მალე გზაჯვარედინი გამოჩნდება და გვერდიდან შეიძლება მანქანა შემოხვდეს; მეორე ნიშანი მიუთითებს, რომ წინ სახიფათო მოსახვევია; მესამე აფრთხილებს, რომ გზაზე შეიძლება ბავშვები გადადიოდნენ და ა. შ. დაინახავს მძღოლი ასეთ ნიშანს და უკვე იცის, რა გააკეთოს — სიჩქარე უნდა შეამციროს და გაფრთხილდეს. გამაფრთხილებელი ნიშანი 30-ზე მეტია. მათი უმეტესობა მძღოლებისათვისაა განკუთვნილი, და ამდენად ბავშვებისათვის ნაკლებ საინტერესოა. რამდენიმე მათგანის ცოდნა კი თქვენთვისაც აუცილებელია. თუ წითელზოლიან სამკუთხედში რკინიგზაა ჩახატული, ეს იმას ნიშნავს, რომ წინ რკინიგზის გადასასვლელია და გადასვლისას განსაკუთრებული სიფრთხილე გმართებთ. ამ ნიშანს ასეც ჰქვია: „რკინიგზის გადასასვლელი შლაგბაუმით". შლაგბაუმი ჰქვია ფერადი ზოლებით მოხატულ ძელს, რომელიც კეტავს ავტომობილისა და ფეხით მოსიარულის გზას მანამდე, სანამ მატარებელი გზაჯვარედინს არ გაივლის. ეს იმიტომ კეთდება, რომ მატარებელს ათასჯერ მეტი ტვირთი გადააქვს და ასჯერ მეტი მგზავრი გადაჰყავს, ვიდრე ავტომანქანას, და ბუნებრივია, მისი გაჩერება უფრო ძნელია, ვიდრე მანქანისა. დამუხრუჭების მერეც კი მატარებელი სრულ გაჩერებამდე ასობით მეტრს გადის. ამიტომ მანქანები და ფეხით მოსიარულეები მატარებელს უთმობენ გზას. ხოლო იმისათვის, რომ ისინი შემთხვევით არ მოხვდნენ ბორბლებქვეშ, მათ წინ შლაგბაუმი ეშვება. ამ დროს რკინიგზაზე გადასვლა მკაცრად აკრძალულია, ეს სიცოცხლისათვის საშიშია.

არსებობს გზებთან და ქუჩებთან რკინიგზის ისეთი გადაკვეთა, სადაც მატარებლების სიმცირის გამო შლაგბაუმი არ დგას. ასეთი გადასასვლელის წინ დაყენებულია წითელზოლიანი სამკუთხედი ნიშანი, რომელზეც ორთქლმავალია დახატული. ამ ნიშანს ჰქვია „რკინიგზის გადასასვლელი უშლაგბაუმოდ". ასეთი ნიშანი რომ შეგხვდებათ, განსაკუთრებით უნდა გაფრთხილდეთ. ვიდრე რკინიგზას გადაივლიდეთ, ყურადღებით გაიხედეთ მარჯვნივ და მარცხნივ, დარწმუნდით, რომ არც ერთი მხრიდან არ გიახლოვდებათ მატარებელი და მხოლოდ შემდეგ გააგრძელეთ გზა.

თუ ასეთ სამკუთხედ ნიშანში ტრამვაის შავი სილუეტია ჩახატული, მას ეწოდება „გადაკვეთა ტრამვაის ხაზთან". ასეთ ნიშანს ტრამვაის ხაზისა და საავტომობილო გზის ყველაზე საშიშ გადაკვეთებთან აყენებენ. იგი აფრთხილებს მძღოლებსა და ფეხით მოსიარულეებს: „ვიდრე გზაჯვარედინს გადაკვეთავდე, დარწმუნდი, ხომ არ გიახლოვდება რომელიმე მხრიდან ტრამვაი". აქაც დიდი სიფრთხილე გმართებთ. გახსოვდეთ, რომ ტრამვაის უცბად გაჩერება, ისე როგორც მანქანისა და, მით უმეტეს, მატარებლისა, შეუძლებელია!

გამაფრთხილებელი ნიშნებიდან აუცილებლად უნდა იცნობდეთ კიდევ ერთს. ეს გახლავთ ნიშანი „ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელი". წითელზოლიან სამკუთხედში ჩახატულია გადასასვლელზე მიმავალი ადამიანის შავი ფიგურა; ეს ნიშნავს, რომ წინ გამოყოფილია ადგილი ქუჩის მეორე მხარეზე გადასასვლელად, სხვა ადგილას ქუჩაზე გადასვლა კი აკრძალულია.

არის კიდევ ორი ნიშანი, რომლებიც გამაფრთხილებელ ნიშნებში არ შედის, მაგრამ მნიშვნელობით და მოხაზულობითაც სწორედ მათ რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნიშნები ქუჩებში არ დგას და ზომითაც პატარაა, მათ არანაკლები ყურადღება უნდა მივაქციოთ. ისინი ავტომანქანის წინა ან უკანა ნაწილზე, გამოსაჩენ ადგილას არიან დამაგრებული — ასეთია, ვთქვათ, თეთრი სამკუთხედი, რომელშიც ჩახატულია ასო „У". იცოდეთ, რომ მანქანა, რომელზეც ასეთი ნიშანია დაყენებული, სასწავლოა და მას მართავს მძღოლი, რომელიც მხოლოდ ახლა სწავლობს მართვას. ხოლო როდესაც ავტომანქანაზე დამაგრებულია ნიშანი, სადაც ყვითელ წრეში ჩახატუ-

ლია შავი სამკუთხედი, საჭესთან ზის ინვალიდი, მისი ავტომანქანა გადაკეთებულია ხელით სამართავად. ორივე მანქანის მძღოლის მოქმედებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ. ერთ მძღოლს გამოცდილება აკლია. მეორეს არ შეუძლია ჯანმრთელი ადამიანივით სწრაფად გააჩეროს ავტომანქანა.

ამკრძალავი ნიშნები მძღოლს უბრძანებს: აქ ავტომანქანის გაჩერება არ შეიძლება, ამ



ქუჩაზე შესვლა არ შეიძლება, გასწრება აკრძალულია და სხვა. ამკრძალავი ნიშანი თეთრი ან ყვითელი წრეა, რომელსაც ირგვლივ წითელი ხაზი აქვს შემოვლებული, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ორი ნიშანი: ნიშანი — ,,შესვლა აკრძალულია" მთლიანად წითელი წრეა და შუაში თეთრი ან ყვითელი ჰორიზონტალური ხაზი აქვს. ეს ძალზე მკაცრი ნიშანია და თუ მძღოლს შეხვდა, მან ან უნდა სხვა გზაზე გაუხვიოს, ან უნდა მობრუნდეს. პირდაპირ მოძრაობა არ შეიძლება. სხვა ნიშნებს არა ჰგავს აგრეთვე ნიშანი ,,გავლა გაუჩერებლად აკრძალულია". იგი წითელი რვაკუთხედის ფორმისაა და შუაში ლათინური ასოებით აწერია ,,**STOP**", ლათინური წარწერა ამ ნიშანს იმიტომ აქვს, რომ ასე შეთანხმდა მსოფლიოს ყველა ქვეყანა. ნიშნები ხომ საერთაშორისოა და ყველა ქვეყნის მძღოლისათვის უნდა იყოს გასაგები. ეს ნიშანი მძღოლს ავალდებულებს, გზა დაუთმოს გადამკვეთ გზაზე მომავალ ტრანსპორტს.

თუ ამკრძალავ ნიშანზე წითელ წრეში ფეხით მოსიარულეა ჩახატული, ეს ნიშნავს, რომ აქ ფეხით მოსიარულის მოძრაობა აკრძალულია.



## მართლა ჭკვიანები არიან დელფინები?

ამ კითხვაზე კიდევ ერთხელ დადებითად უპასუხეს იაპონელმა მკვლევარებმა. უკანასკნელ დროს დელფინებმა საკმაო ზარალი მიაყენეს იაპონელ მეთევზეებს. რეწვის რაიონების დასაცავად, თანაც ისე, რომ თვით დელფინებისთვის არაფერიევნოთ, დაამზადეს პლასტიკური ,,კასატკები" (მტაცებელი ვეშაპები). ისინი აღჭურვეს სპეციალური ხელსაწყოთი, რომელიც გამოსცემდა მშიერი ვეშაპებისათვის დამახასიათებელ სიგნალებს. ყოველი ასეთი ,,კასატკა" 75 ათასი დოლარი დაჯდა. ეს ,,საფრთხობელები" შემოუმწკრივეს საკმაოდ ვრცელ რაიონებს გაშლილ ზღვაში. მაგრამ დელფინები სრულიად მშვიდად მიდი-მოდიოდნენ ამ თითქოსდა უაღრესად სანდო ზღუდეებს შორის და არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ ხელოვნურ ვეშაპებს. საქმე ისაა, რომ დელფინები თავიანთი სონარების მეშვეობით თურმე აბსოლუტურად უშეცდომოდ ასხვავებენ ერთმანეთისაგან ცოცხალ არსებებსა და მათ პლასტიკურ იმიტაციებს. ერთი სიტყვით, მეთევზეები ტყუილად გაისარჯნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, მეცნიერებმა მოიპოვეს ფასეული ინფორმაცია.

## აღწერა უკომპიუტეროდ

თავისი ხალხის აღწერისათვის ახალი გვინეის ერთ-ერთი ტომის ბელადს სულაც არ



სჭირდება ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა. სტატისტიკა აქ კომპიუტერის გარეშეც მაღალ დონეზეა.

ბავშვის გაჩენისთანავე ოჯახის უფროსი ფეხზე სპეციალურ სამაჯურს იკეთებს. ოჯახის რომელიმე წევრის გარდაცვალების შემთხვევაში სამაჯური შესაბამისად იხსნება. აღწერის ჩასატარებლად ბელადმა საკმარისია გადათვალოს ისინი.

## ოთხი ათასი წლის პური

შვეიცარიის დასავლეთ ნაწილში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოაჩინეს საგანი, რომელიც ისტორიკოსებმა სენსაციად ჩათვალეს. საგანი გახლავთ... გაქვავებული პური. აღმოჩენის სენსაციურობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ეს პური უძველესია ევროპაში. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ იგი ოთხი ათასი წლის წინათ არის გამომცხვარი.

## რკინის ბილიკი

დარჯილინგ-კალკუტის რკინიგზის ხაზი (ინდოეთი) ბანგლადეშის ქვიშნარსა და დაბლობზე გადის. კოკისპირული წვიმების გამო მისი ნაწილი ყოველწლიურად წყლით იფარება და ერთი ქალაქიდან მეორეში მოხვედრა მხოლოდ რკინიგზის მიწაყრილით შეიძლება. ასე რომ, რკინიგზის ლიანდაგი ქვეითად მოსიარულეთა ბილიკად იქცევა ხოლმე.

## თითქმის შიშველი ხელით...

ერთ დილით ორი ინდოელი ჭაბუკი სათიბში წავიდა. როცა ტყისპირს მიუახლოვდნენ, ტევრიდან უცბად ვეფხვი გამოვარდა, ერთ



მათგანს დაეძგერა და მიწას გააკრა. მეორე არ დაიბნა, ხელი დაავლო მოზრდილ ქვას და მხეცს თავში ესროლა. ვეფხვი წაიქცა. ხმაურზე თანასოფლელებმა მოირბინეს და მხეცი გათოკეს. საბედნიეროდ, ახალგაზრდა თითქმის უვნებლად გადარჩა.

## აკაციები — წინასწარმეტყველები

ცნობილია, რომ ცხოველები და ფრინველები მიწისძვრის მოახლოებას წინასწარ იგებენ ხოლმე. იაპონელი მეცნიერი ჰიდეო ტოროვადი ამტკიცებს, რომ აკაციებსაც ძალუძთ იწინასწარმეტყველონ მიწისქვეშა ბიძგები. ამ ხეებზე მრავალი წლის დაკვირვებების საფუძველზე მან ტოკიოსა და კიოტოს რაიონებში 80 მიწისქვეშა ბიძგის წინასწარმეტყველება შეძლო.



● ყრუ ნახვრეტიდან მილისის ამოგდება ადვილი როდია. ამ პრობლემის გადაჭრა ასე შეიძლება: ნახვრეტში სქელი სამანქანე ზეთი ჩაასხი, მილისში მჭიდროდ ჩასვი ფოლადის ღერო და ზედ ჩაქუჩი დაჰკარი. დარტყმის ენერგია, რომელიც ზეთის მეშვეობით გადაეცემა, მილისს ამოაგდებს.

● ტელევიზორების შესაფუთავი ქაფპლასტიკისაგან (რუს. „პენოპლასტ") შეგიძლია საკუთარი ხელით გააკეთო მოხერხებული სადგარი ინსტრუმენტებისათვის. გამოსჭერი ისეთი ფორმის ბლოკები, როგორიც თავად მოგწონს, და ამოწვი ან რაიმე სხვა ხერხით გაუკეთე ნახვრეტები ინსტრუმენტების ჩასაწყობად. ქაფპლასტის სადგარი გამოადგებათ მხატვრებს — საღებავიანი ტუბებისა და ფუნჯების ჩასაწყობად, ფოტომოყვარულებს — ლაბორატორიის მოწყობილობისათვის და ა. შ. ქაფპლასტი იჭრება არაქრომირებული მავთულით.

● ძალზე მოსახერხებელია შეშის სახერხი ჯოჯგინა, რომლის დაშლაც შეიძლება და დაგრძელება-დამოკლებაც. იგი შესანახავად ადვილია და, რაც მთავარია, ზედ შეგიძლია ნებისმიერი სიგრძის მორების დახერხვა. ჯვარედები ღერძზე ისე უნდა იყოს წამოცმული, რომ მათი გაწევ-გამოწევაც შეიძლებოდეს და ფიქსაციაც (მაგალითად, ქანჩიკის მოსაჭიმი ცალუღის მეშვეობით). ჯოჯგინა მზადდება ლითონის, ხის ან მათი კომბინაციისაგან.

● ზაფხულსა და შემოდგომაზე, როცა დიასახლისები ხილის თუ ბოსტნეულის დაკონსერვებას შეუდგებიან, ბევრი მშრალი სტერილური ქილა სჭირდებათ ხოლმე. სტერილიზაციას კი საკმაოდ ბევრი დრო უნდა. ამ პრობლემის გადაჭრა ასეთნაირად შეიძლება: დედას ურჩიე, ქილები რამდენიმე მწკრივად დააწყოს გაზქურის ღუმელში და 5-10 წუთით გააჩეროს ასოცგრადუსიან ტემპერატურაზე. სტერილიზაციის ასეთი წესი გაცილებით საიმედოცაა. ქილები ნელ-ნელა, ღუმელიდან გამოუღებლად უნდა გაცივდეს.

● ნახვრეტებიან პოლიეთილენის პარკში შენახული პური არ ხმება და არ ობდება 4-5 დღის განმავლობაში. ნახვრეტების დიამეტრი 10-12 მმ უნდა იყოს, მათ შორის მანძილი — 40-50 მმ.













# საძიებელი


დ. წულაძე — პასუხისმგებლობა ქვეყნისათვის, სოციალიზმის ბედისათვის (წერილი) . . . . გარეკ. . 2
ვ. ასლამაზიშვილი — ქალაქიდის გაზაფხული (ნარკვევი) 2
ე. მერაბიშვილი — შავი ერკემალი (მოთხრობა) . . 5
ა. გურგენიძე — მოდის, ზაფხული მოდის! (ლექსი) . . 9
ნ. სადირაშვილი — ი. ჭავჭავაძე, როგორც მეგობარი (წერილი) . . . . . . . . . . 10
ნ. აფხაზავა — ერთი ჩვეულებრივი პიონერი (ნარკვევი) . 12
რ. ასაევი — სიზმარი (პოემა) . . . . . . 14
მ. ზაზიკაშვილი — ლექსები . . . . . . 14
ნორჩ შემოქმედთა კონკურსი „ოქტომბერი ჩვენს გულებში" . . . . . . 16
პ. წერეთელი — 1+1=10? (წერილი) . . . . . 18
კ. პაუსტოვსკი — მოხუცი მზარეული (მოთხრობა) . . 20
აისი . . . . . . . . 22
სამშობლოს ნორჩი გმირები. ლიონია გოლიკოვი (წერილი) . . . . . . . 20
ნ. ფაილოძე — მეგობრობა სამ ათეულ წელს ითვლის (წერილი) 26
მ. გელაშვილი — ნიკა ბიჭის ექვსი დღე (წერილი) . . 27
გ. ბარჯაძე — ბეისბოლი (წერილი) . . . . 28
თ. ინასარიძე — შევისწავლოთ საგზაო ანბანი (წერილი) . 30
ჯადოსნური სარკე . . . . . 31
გამოგადგები . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . გარეკ. . . 3


გარეკანის 1-ლ გვ. სლაიდი „ზაფხული", გარეკანის მე-4 გვ. — გავშვთა სურათების გალერეის ექსპონატთა რეპროდუქციები


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ბოცვაძე, მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლიანა შეწირული, ზურაბ ჭუმბურიძე.



რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის — 93-97-08, 93-53-05, განყოფილებების — 93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 20.04.87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.05.87 წ. ქაღალდის ფორმატი $60 \times 9^{1}/_{3}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ 1099. ტირაჟი 160000 ეგზ., უე 04475.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников.

Выходит один раз в месяц на грузинском языке.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат $60 \times 90^{1}/_{3}$, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 160.000 экз. Цена 20 коп.


© „პიონერი", 1987 წ.



## კ რ ო ს ვ ო რ დ ი

**თარაზულად:** 1. მზა ტანსაცმლის საჩვენებელი ადამიანის ფიგურა; 4. წითელი ან ნარინჯისფერი მინერალი; 7. მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს მანქანებისა და ცოცხალი ორგანიზმების მიერ ინფორმაციის მიღებას, შენახვასა და გადაცემას; 10. ხაომარი მოქმედების არე; 11. ერთობლივი სამეურნეო საქმიანობის მიზნით შექმნილი ნებაყოფლობითი გაერთიანება; 12. მოქანდაკის ხის საჭრეთელი; 15. მსახიობი; 16. მედიცინის დარგი; 17. ბამბის თეთრი ქსოვილი; 18. სოფოკლეს ტრაგედია; 23. წყალსაცავი დასავლეთ საქართველოში; 25. რიგრაგი, განთიადი; 26. საბჭოთა არქიტექტორი ქალი, მონუმენტ „მუშა და კოლმეურნის" ავტორი; 27. მთავრობის გადასახადების ვადის გადაწევა, გაგრძელება რაიმე საგანგებო მდგომარეობის გამო; 28. ცალკე გამოყოფა, გამიჯვნა; 29. რუსეთის ქალაქი.



**შვეულად:** 1. სიტყვის ან გამოთქმის გადატანითი მნიშვნელობით ხმარება; 2. ოთახისმაგვარი სათავსი გემზე; 3. ესტონელი მსახიობი, სეგედის როლის შემსრულებელი ფილმში „დათა თუთაშხია"; 4. წმინდა, უმწიკვლო; 5. ნავსადგურის მუშა-მტვირთავი კაპიტალისტურ ქვეყნებში; 6. მიხვედრა, შორსმჭვრეტელობა; 8. სახელმწიფოს ძირითადი კანონი; 9. შუამდინარეთი; 13. წელთაღრიცხვის სისტემა; 14. ქვეწარმავლის ზხამი; 17. ქართველი მწერალი; 19. მაგნიტი; 20. სალებავების შესაზავებელი ფიცარი; 21. სისხლძარღვი; 22. აფრიკის ქვეყანა; 24. ხუროთმოძღვრების ძეგლი საქართველოში.

შეადგინა ძ. ძურღოვანიძემ

## გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

ამ უცნაურ არსების
თქვენც გსმენიათ ქება:
ღამე ნათურასავით
ინთება და ქრება.

●

გაალვიძა ბუნება,
ახავერდა მთები.
სულიერიც, უსულოც
სიხარულით ვხვდებით.

●

ამ უზარმაზარ ცხოველს
ერთი ჭუჭის აქვს შიში —
ერიდება და უფრთხის
წრუწუნას მისი ჯიში.

●

თავს უკიდია ალი,
კუდი სითხეში უდევს,
რკინის და მინის არი
მისი სახლი და ბუდე.

ალ. ნამორაძე

●

შემოფარგლული სივრცე ვარ,
სხვა არაფერი ვარ ვითომ.
არაფერს გართმევ,
თუმცაღა
არც ჩემსას არას დაგითმობ.
არც ათი თითი არსებობს,
არც ასი კაცი უჩემოდ.
თუ ვერ მიცანი,
იცოდე,
გამჭრიახობას ნუ ჩემობ.

●

სითხე იყო,
და თოვლისფერ
ციხე-კოშკში ედო ბინა.
ცხელ ტაფაზე
დავასხი და
იმწამშივე „გაიყინა".

●

ხან — შინ,
ხან კიდევ — ქუჩაში,
ხანაც — სკოლაში შეხვდები,
მხოლოდ მოისმენ, —
ვერ ხედავ,
ხელითაც ვერ შეეხები,
ამ ქვეყანაზე იმას აქვს
ყველაზე მოკლე ფეხები.

●

ბარაქალა, თუ ამის
გამოცნობას აპირებ:
ჩემივ ტყუპის ცალია
ჩემი მოპირდაპირე.

ნ. მარიხია

## თ ა ვ ს ა ტ ე ხ ი

იპოვეთ ამ ორი ნახატის 10 განმასხვავებელი დეტალი



პასუხი № 5-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

აბა, სცადეთ!

### შ ა რ ა დ ე ბ ი

შარა+და=შარადა, წ+რე=წრე.

### გამოცანები

ფუტკრები სკაში, თესლი, ექო, ცისარტყელა, სარკე, პორტრეტი, ბროლი.





„დღესასწაული". პოლონეთი.



„სანაპირო". ვიეტნამი.



„ცეკვა". ინდოეთი.



„ცხენები". ლევან ლონდარიძე, 11 წლის საქართველო



„პორტრეტი". სომხეთი.



„შემოდგომა". ბულგარეთი.



„ხეხილის ბაღში". იაპონია

იაპონიაში ყოველწლიურად ეწყობა ბავშვთა ნახატების საერთაშორისო გამოფენა. ს
დები, რომელთაც ამჯერად გთავაზობთ, ტოკიოს მე-16 — 1986 წლის საერთაშორისო გამ
ნიდანაა ამოკრეფილი.